140
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1978

ჩვენი მშობლიური წითელი არმია

60

წლისაა



საზეიმო კონცერტი შეფებთან.

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

> ... ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდონ ნებისმიერი აგრესორი.
>
> სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხლი 31.

# უძლეველი სამოცი წელი

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ჩვენი აკვნების,
ჩვენი კერების,
სიცოცხლის ყველა მშვენიერების,
ხალხის, მამულის, მშვიდობის
მცველი
დიდ დღეს ზეიმობს არმია ჩვენი.
აკვანი მისი
სამოცი წლის წინ
დაირწა ბრძენი
ლენინის ხელით.
მძიმე ბრძოლებში დაღვრილი
სისხლით,
ტყვიების ჴერით,
ხიშტების წვერით,
შიშველი გულით,
რვალს რომ ემგვანა,
გაფანტა ომის შავი ღრუბლები,
დაიცვა ჩვენი დიდი ქვეყანა —
პირველსამშობლო თავისუფლების.
მშენებელ მამულს მოერტყა
რკალად,
სიმართლის ხმალად,
მშვიდობის ფარად.
და როს მანამდე ჯერ არ ნახული
ატყდა გრიგალი
(ის დღე ზაფხულის
კვლავ თვალწინ მიდგას!)
არმია ჩვენი
აღსდგა უტეხი ძალით და
რწმენით.

... ის დღე, სტუდენტად
გამოღვიძებულს,
რუხ ფარაჯაში შემომალამდა,
ყველა სიკეთის ჩემდა მბოძებელს
შევფიცე ქვეყნის მთათა მაღალთა
და მე მაშინვე ჩავდექი მწყობრში,
ჩვენი, საბჭოთა არმიის მწყობრში,
მიცავდა ცეცხლში,
მათბობდა თოვში
კალთა მამულის მაღალი დროშის.
დაუტევარი სივრცეშიც, დროშიც
თვით მტრის მიწაზე დამთავრდა
ბრძოლა
და რაიხსტაგზე აღმართულ დროშის
ქარმა მსოფლიოს გადაუქროლა.
მშვიდობის ბურჯს და სამშობლოს
ფარხმალს,
ქვეყნის დაცვა რომ მიანდო ხალხმა,
უთანასწორო ბრძოლებში შობილს,
მძიმე ომების ქარცეცხლში
წრთობილს
უმშობლიურეს არმიას ჩვენსას
შესრულებია სამოცი წელი!
ჩვენი ვაშაც და მადლობაც წრფელი
დევგმირებს — ცეცხლში
გაულუნელთა!
ბრწყინავს უკვდავი სამოცი წელი —
ელვა — სამყოფი საუკუნეთა.

I 5844

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატებს ჩვენი მხურვალე სალამი!

მხატვარი ზურაბ ფოცხიშვილი.

# ლენინური კომკავშირი

ალიო მირცხულავა

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოლაქლაქე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!

კომკავშირი! მარად მხნე და ახალგაზრდა,
ბრძოლით განვლეთ გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გასხივოსნდა, გალამაზდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

აგებს ქარხნებს, ლუმელებში აწრთობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაქრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

ებრძვის გვალვას და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს,—ოქროს ბაღნარს დაადარებს,
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

საყვარელო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს,
ყველა შენი გამარჯვება გამიხარდეს,
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,
სიყრმის კერა, არ იქნება, არ მიყვარდეს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ დღეგრძელი,
მხნედ იარე! კომუნიზმის გზა ეს არის,
იზეიმე დაბადების დღე და წელი,
მრავალ ასეთ დღესასწაულს დაესწარი!

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
2 თებერვალი 1978
საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა



**პიონერებმა მიხეილ ყვარელაშვილი საპატიო პიონერად აირჩიეს.**

# [illegible] სიყმაწვილეში...

მოულოდნელად შეწყვიტა საუბარი.

— ბავშვებს ძალიან უყვართ მოგონებები, — თქვა შემდეგ, სულ ცოტა ხნის შემდეგ, ისე, როგორც ყველაზე სანუკვარის გაზიარებისას იციან ადამიანებმა.

— აი, ამას წინათ სკოლაში ვიყავი. — განაგრძო ბატონმა მიხეილმა, — ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და თბილისში სკოლა არაა, მეგობრები არ მეგულებოდნენ: მასწავლებლებსაც ვგულისხმობ და მოსწავლეებსაც. ასეთია ჩემი ცხოვრება — მოვხუცდი, მაგრამ სკოლასთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია, ახალგაზრდობიდან მოკიდებული. ჰოდა, გალაკტიონის სახელობის სკოლა რომაა, იქ მიგვიწვიეს მოსწავლეებმა კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები. მეშვიდეკლასელ პიონერებს შეკრება ჰქონდათ. ისინი იმ დღეს ჩაებნენ ახალგაზრდა თაობის გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე!“

რა შესანიშნავი თაოსნობაა!

თუმცა საქართველოს კომკავშირს ხომ ყოველთვის ახასიათებდა შემართება და ძიება.

ამ თაოსნობის ამბავი ვეტერანებმა, რა თქმა უნდა, ადრე ვიცოდით.

მე საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი გახლავართ, ხოლო კალინინის რაიონში — ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე. რესპუბლიკური საბჭოს ერთი სხდომა მთლიანად ამ ახალი თაოსნობის განხილვას დავუთმეთ. ვიხილავდით გადაძახილის დებულებას. რამდენი ვიკამათეთ და რამდენი რამ გავიხსენეთ. ყველანი ერთი აზრისა ვიყავით — გვჯეროდა, რომ ამ თაოსნობას საყოველთაო გავრცელება და მხარდაჭერა მოჰყვებოდა. აკი ასეც არის. თუმცა არც ისაა დასამალი, რომ ზოგჯერ კარგ საქმეს უღიმღამო კრებებად აქცევენ და მეტი არაფერი — არც სულს და არც გულს არ აქსოვენ შიგ. მეშვიდეკლასელთა შეკრებაზე რომ მივდიოდი, ცოტას სწორედ ამიტომ ვშიშობდი.

როგორ გამიხარდა, რომ იმ დღეს ჩემი შიში არ გამართლდა. შეკრება სიმღერებით დაიწყო, ხალისიანი პიონერული სიმღერებით, დაფდაფითა და საყვირით. ჯერ ცოტა გაუბედავად წამოიწყო რამდენიმე ყმაწვილმა სიმღერა, მერე კი ყველანი აყვნენ. ჩვენც, ვეტერანებიც, ვმღეროდით. ვიდექით ფეხზე და ვმღეროდით: „მაშ ერთად, ძმებო, ერთად ვიაროთ...“

წამით შეჩერდა.

— ხომ კარგი სიმღერაა! რა ხანია ვმღერით და ელფერიც არ შეცვლია.

მერე თავიდან წამოიწყო:

— „მოვდივართ და მოვიმღერით პიონერები...“

პირველ პიონერულ რაზმებს რომ ვაყალიბებდით კომკავშირელები, მაშინ სად გვქონდა საკუთარი პიონერული სიმღერები! ძველი, რევოლუციური სიმღერით მიაბიჯებდა ხოლმე რაზმი მწყობრად. ვმღეროდით მამების სიმღერას: „სადაც არის გათენდება, ადექ, მუშავ, შენ!...“ ესეც სიმბოლურია — ახალი თაობა მამათა სიმღერებით შემოდიოდა ახალ ცხოვრებაში.

...მაშინ მიხეილ ყვარელაშვილი თექვსმეტიოდე წლის ჭაბუკი თუ იყო. ბავშვობა სოფელში გაატარა, ხაშმში. სოფელში და ნაწილობრივ კიდევ თბილისში, რაკი მისი მშობლიური სოფელი თბილისთან ახლო იყო. წამოიზარდა თუ არა, მშობლებმა სასწავლებლად ქალაქს გამოგზავნეს. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ქალაქში ბევრი მეგობარი ეგულებოდა დედ-მამას და იმათი შემწეობის იმედი ჰქონდათ. მათ შორის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილიც იყო. ბევრი დაუვიწყარი მოგონება აკავშირებს ამ შესანიშნავ პიროვნებასთან საქართველოს სახალხო არტისტს მიხეილ ყვარელაშვილს. ეროვნული საქმისათვის უანგარო მზრუნველსა და მოამაგეს არც სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილისთვის დაუკლია ყურადღება. მიხეილიც ცდილობდა ბეჯითი გარჯითა და სწავლით მიეგო სამაგიერო. ბევრჯერ გვიან ღამით წამოსულა სტამბიდან, სადაც იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდებოდა და სადაც მიხეილი ასოთამწყობის პროფესიას ეუფლებოდა. რამდენჯერ უთქვამთ უფროსებს: კარგი, ბიჭო, გეყოფა, ჯერ პატარა ხარო, მაგრამ თავისას არ იშლიდა — ჩემი საქმე მე უნდა გავაკეთოო.

ყოველ ზაფხულს სოფელში ატარებდა და დედ-მამასაც მუყაითად

ეხმარებოდა ხოლმე მუშაობაში — შინ თუ მინდვრად. საღამოობით ნამდვილი თეატრალური ზეიმები იმართებოდა ხაშმში. ხშირად პატარებიც მართავდნენ წარმოდგენებს. ამ წარმოდგენების სული და გული კი მიხეილი იყო. მათ სპექტაკლებს უფროსებიც სიამოვნებით უყურებდნენ. მოდიოდნენ ნაჯაფარი, დარბაისელი მეურნეები და პატარა მსახიობებისათვის ბილეთების სანაცვლოდ ჩურჩხელა ან სხვა რამ ნუგბარი მოჰქონდათ...

ბავშვობის წლებშივე იგრძნო მიხეილმა, რომ უთეატროდ მისი ცხოვრება არ იქნებოდა, თუმცა ჯერ ნამდვილი მოწოდებისა კარგად არ გაეგებოდა. ეს მოხდა მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თბილისში, სახელოსნო სასწავლებელში, პირველად აჩვენეს ვიოლინოს ოქროს გასაღები.

— მერე მე მას ჩემი ცხოვრების გასაღები დავარქვი, — ამბობს მსახიობი.

იმ დღეს გაიგო ყმაწვილმა, რომელსაც სიმღერის ნიჭი დაბადებიდან ჰქონდა მომადლებული, რომ არსებობდა მუსიკის მშვენიერი სამყარო და იმ დღიდან გადაექცა ოცნებად მომღერლობა. ამ სურვილს უკვე ვერაფერი დაუდგებოდა წინ.

დიდი სიხარული ეწვია ერთბაშად: მის მშობლიურ სოფელში კომკავშირული უჯრედი ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი პირველი კომკავშირული უჯრედის ორგანიზატორი მიხეილ ყვარელაშვილი იყო.

სულ მალე სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ხდება.

მონაწილეობს რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლებში, რომელთაც დიდი რეჟისორი სანდრო ახმეტელი დგამს.

ამიერიდან მიხეილ ყვარელაშვილისათვის განუყრელია კომკავშირი და თეატრი, პირადი და საზოგადოებრივი საზრუნავი. კომკავშირი მისთვის ცხოვრების დიდი სკოლაა — სოფელში იგი კულაკობასთან ბრძოლაში მონაწილეობს და პირველ პიონერულ რაზმებს სადღესასწაულო წარმოდგენების გამართვაში ეხმარება.

1932 წლიდან იგი ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია...

მას ყველგან, ყოველთვის, როგორც მარად უღალატო რწმენა, მხარში თავისი კომკავშირი ედგა. ისიც არასოდეს იშურებდა კომკავშირისთვის არც დროს, არც ენერგიას. მუდამ ავანგარდში! — ასეთი იყო მისი კომკავშირული დევიზი და ამ დევიზის ერთგულია იგი აქამდე — სიჭაბუკიდან მოკიდებული.

დღე ერთია და ამ ხანდაზმულ კაცს ათასი საზრუნავი აქვს, მოცლილს ვერასოდეს ნახავთ. ლექციებს მორჩება და თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი ხან ადგილკომის კრებაზე მიეშურება, ხან კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს სხდომაზე; კიდევ, ძალიან ხშირად — თქვენს თანატოლებთან, პიონერებთან შეხვედრაზე იჩქარის.

მას სხვაგვარად არ შეუძლია. ჩემს საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებსო, ამბობს ისე, როგორც შორეულ სიყმაწვილეში სჩვეოდა.

... ზის წელში გამართული, იხსენებს განვლილს, იმას, რაც ათეული წლის წინ იყო და რაც ეს-ესაა განუცდია.

ისმენ მის საუბარს და თითქოს გესმის, როგორ შრიალებს ისტორიის დიდი წიგნის ფურცლები, როგორ ენაცვლებიან წლები წლებს. ეს წლები ერთმანეთისაგან კი არ აშორებს თაობებს, ერთმანეთთან აკავშირებს მათ ერთი საერთო საქმისათვის, ამ საქმეს მამულის სამსახური ჰქვია...

**თ. მეტრეველი.**

# გილოცავთ, ხეჩოშვილებო!

მოკრძალებულობითა და უბრალოებით იმთავითვე გამორჩეულნი იყვნენ. უყვარდათ წიგნები, მეგობრებთან თამაში, ზღაპრების მოსმენა და მამის შეგონება — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

ბავშვობაში კარგად ვერ გაეგოთ ამ შეგონების ფასი. მამა კი ხშირად იმეორებდა: მე რომ დღედაღამ ზვარში ვტრიალებ, — სოფლის, ქვეყნისა და ოჯახის სიყვარულით ვაკეთებ ამას; თქვენ კარგად ისწავლეთ და მალე გაიგებთ, თუ რას ნიშნავს პოეტის ეს სიტყვებიო...

ისინიც კარგად სწავლობდნენ, თან უფრო გულისყურით აკვირდებოდნენ მევენახე მამის ყოველდღიურ საქმეს, ზვარსა და ოჯახში გაუთავებელ საზრუნავს, აკვირდებოდნენ და ბავშვური გულუბრყვილობით ფიქრობდნენ: „ნეტა, ბიჭები მაინც ვყოფილიყავით, საძალო საქმეში მამას უფრო მალე შევეშველებოდით“...

დედას გაეცინა, გოგონებმა თავიანთი გულისნადები რომ გაანდეს.

საღამოს ვენახიდან დაბრუნებულმა მამამ გვერდით მოისვა ქალიშვილები და ღიმილით უთხრა: „თქვენ ისეთი ყოჩაღები და ჭკვიანები მეზრდებით, ბარემ ბიჭს შემშურდება... დღეს რომ მარადიმ გემრიელი სადილი ამომიტანა ვენახში, — განა ცოტა საქმეა?.. ნელიმ რომ გუშინ ორი ხუთიანი დაიმსახურა, — რომელი ბიჭი გაუტოლდება?.. გულჩინა რომ ლექსებს იზეპირებს და ძილის წინ მიყვება, — რომელ მეზღაპრეს ჩამოუვარდება?..“

შრომაში, სწავლასა და ტკბილ ოჯახურ ურთიერთობაში გაირბინეს წლებმა.

მარადიმ საშუალო სკოლის შემდეგ მუსიკალური ტექნიკუმი დაამთავრა და მაშინვე მშობლიურ ვაზისუბანს დაუბრუნდა. ახლა უკვე თვით გახდა ნორჩების მასწავლებელი.

ნელიმ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა მშობლიური ენა-ლიტერატურის სპეციალობით და ისიც მშობლიურ სოფელსა და სკოლას დაუბრუნდა.

გულჩინა კი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს და მალე ისიც დაადგება უფროსი დების კვალს.

უხარიათ ვანო და სონია ხეჩოშვილებს, ქალიშვილებმა სოფელს რომ არ უღალატეს და მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარნი გახდნენ.

უთუოდ საფუძვლიანია ეს სიხარული.

## წითელყელსახვევიანთა წინამძღოლი

ნელი ხეჩოშვილმა წარმატებით დაამთავრა ვაზისუბნის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ორი წელიწადი სოფლის მეფრინველეობის ფერმაში მუშაობდა. ამ ხნის მანძილზე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა, პედაგოგიურ ინსტიტუტშიც გულმოდგინედ ეწაფებოდა თეორიულ ცოდნას, პარალელურად სოფლის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობდა. ეს შეუმ-

ჩნეველი არ დარჩენია ვაზისუბნის საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას და ენერგიული, კარგი პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებული გოგონა უფროს პიონერხელმძღვანელად მიიწვია. კომკავშირის გურჯაანის რაიონულმა კომიტეტმა სიამოვნებით მისცა რეკომენდაცია ნელის და გზა დაულოცა მას ახალ სარბიელზე.

დაიწყო სრულიად განსხვავებული, ათასი საფიქრალ-საზრუნავით დატვირთული ცხოვრება. 19 წლის კომკავშირელის თვალწინ გადაიშალა ბავშვთა ურთულესი სამყარო, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, უბრალოებით, სისადავით...

— ბავშვებთან დამოკიდებულება არ გამჭირვებია, — ამბობს ნელი ხეჩოშვილი, — რადგან თავიდანვე პედაგოგობაზე ვოცნებობდი, მწამდა, რომ თუ სისტემატურად ავიმაღლებდი პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას, გამოვიყენებდი აღზრდის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს, გულისყურით მოვეკიდებოდი ყოველ გონივრულ რჩევასა და დარიგებას, საქმეც გამომივიდოდა. ერთი სიტყვით, მთავარი იყო მონდომება...

— ალბათ, ისიც გახსოვდათ, რომ წმინდა პედაგოგიური მუშაობა სულ სხვაა, ვიდრე პიონერული მუშაობა, პიონერული აღზრდა? — ვეკითხებით ნელის.

— რა თქმა უნდა. მოწაფეები ზოგი ცოტას კითხულობს, მაგრამ ბევრს ითვისებს, ზოგი — პირიქით; ზოგიც საერთოდ არ კითხულობს და, რაც დრო გადის, მით უფრო ძნელად აღსაზრდელი ხდება. პიონერული მუშაობა ისე უნდა იყოს შერწყმული საერთო პედაგოგიურ მუშაობასთან, რომ ხელს ვუწყობდეთ თითოეული მოწაფის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, თითოეული მოზარდის სულიერ, ზნეობრივ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას.

— თქვენ, ალბათ, იმის თქმა გინდათ, რომ კლასის ხელმძღვანელსა და მასწავლებელს შემოქმედებითი, ჯანსაღი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ პიონერხელმძღვანელთან...

— დიახ, პედაგოგიკა აღზრდის მწყობრი, კომპლექსური სისტემაა და ახალი თაობის აღსაზრდელად გადადგმული ყოველი ნაბიჯი ასჯერ გაზომილი, დასაბუთებული, პრაქტიკულად განმტკიცებული უნდა იყოს.

— თქვენი სკოლის პიონერული რაზმეული რა ძირითადი მიმართულებით ხელმძღვანელობს ამჟამად?

— კარგა ხანია დაიწყო და გრძელდება საკავშირო პიონერული მარში „მზად ვარ", რომელიც მიმდინარეობს დევიზით — „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით!" ამ მარშს მივუძღვენით მრავალი ღონისძიება. მალე დამთავრდება მეორე ეტაპი რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის გადაძახილისა — „სწორება კომუნისტებზე!", რომელმაც ჩვენი სკოლის პიონერების დიდი აქტიურობა გამოიწვია. ყველაფერს წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ვაკეთებთ. ამ რამდენიმე დღის წინ დავაჯილდოეთ გადაძახილის პირველ ეტაპში გამარჯვებულნი.

— პრაქტიკულად რაში გამოიხატება თქვენი სკოლის პიონერული რაზმეულის გეგმები?

— შეფობას ვუწევთ მეურნეობის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებს, სათუთად ვუვლით ჩვენივე ხელით გაშენებულ შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფ ბაღს, 317 დაღუპული ვაზისუბნელი ვაჟკაცის სახელზე დარგულ თითოეულ ალვის ხეს; ვეხმარებით შინმოუსვლელთა ოჯახებს; ვაგროვებთ მაკულატურას, ჯართს. ახლახან სოფლის ცენტრში გავაშენეთ ახალი საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის სკვერი...

ასე რომ, საქმეს რა გამოლევს.

## გილოცავთ, ხელმძღვანელო!

ზარმა დაიწკრიალა და დიდი შესვენება დადგა. ლამაზი სტენდებითა და პლაკატებით გაფორმებულ, ვრცელ და ნათელ პიონერთა ოთახში ალისფერყელსახვევიანი, თვალებანთებული გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ.

— ნელი ხელმძღვანელო, გილოცავთ!

მაშინვე მივხვდით, რომ ბავშვებსაც გაეგოთ თავიანთი უფროსი პიონერხელმძღვანელის საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად არჩევის ამბავი.

— გმადლობთ, ბავშვებო. მე რომ ყრილობის დელეგატად ამირჩიეს, ეს თქვენი დამსახურებაც არის. ამ დაფასების საპასუხოდ სკოლის თითოეულმა პიონერმა უნდა აიმაღლოს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. ხვალ გაცილებით უკეთ უნდა ისწავლოთ და იშრომოთ, ვიდრე დღეს. ამას მოითხოვს ჩვენი პიონერული სინდისი, მშობლიური სკოლის წმინდა სახელი.

ნელი ხეჩოშვილი უკვე მეათე წელიწადია ვაზისუბნის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელია. ან ხნის მანძილზე მან სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და ნორჩების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

და მაინც განსაკუთრებული სიხარულით მიულოცა მას პენსიონერმა მამამ ივანე ხეჩოშვილმა, რომლის შეგონება — „არც კაცი ვარგა"... ასე კარგად გაამართლა მისმა შვილმა.

ს. ქობულია.
ფოტო ვ. მაჩაბლისა.



საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატი ნელი ხეჩოშვილი პიონერებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქურდი

მოთხრობა

**კარლო კობერიძე**

მხატვარი დიმიტრი ხახუტაშვილი

**მოსწავლეები ზაფხულის არდადეგებიდან რომ დაბრუნდებიან ხოლმე, თითქმის წესია, თხზულება უნდა დაწერონ თემაზე — „როგორ გავატარე არდადეგები". ვინ ზღვაზე ყოფილა, ვინ მთაში, ვინ სოფელში — პაპასთან და ბებიასთან, ვინ კიდევ მშობლებსა ჰყოლიათ წაყვანილი სამოგზაუროდ. ერთი სიტყვით, სხვადასხვა მხარე უნახავთ, სხვადასხვა სანახავი, და მაინც ერთფეროვანი მეჩვენება მათი მონაყოლი, რაკი ყველა ერთნაირი მზით, ერთნაირი სიხარულით არის სავსე. ასე რომ, თურმე ბედნიერებაც შეიძლება იყოს რაღაც ერთფეროვანი და მოსაწყენი. სხვანაირად არ იქნება და, ზოგს ალბათ საწუხარიც შეხვდა, საგანგებოდ კი მალავს. რას იზამ! — თანდათან იზრდებიან, ცოდნა ემატებათ, ფიქრი, დაკვირვების უნარი, და ცხოვრებისეული სირთულეებიც თანდათან ჩნდება.**

**თუმცა მთავარი ის არის, რომ შვილები არასოდეს ეკითხებიან მშობლებს: მათი ტოლები რომ იყვნენ, ისინი როგორღა ატარებდნენ არდადეგებს?.. რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც ჩემი შვილები არიან გამონაკლისი.**

**ომის დაწყებისას მეორე კლასში ვიყავი. მართალი გითხრათ, არ მსიამოვნებს იმ უბედურების გახსენება, მაგრამ ჩემი შვილების დუმილი მაიძულებს, ნაღვლიანად მივიხედო უკან და თითქმის შეულამაზებლად გავიხსენო ჩემი თაობის — უმამო თაობის არდადეგები.**

**ეს გახსენებები მოთხრობებში გაიფანტება და მერე ერთ წიგნად რომ მოიყრის თავს, მაშინ მიხვდებიან ჩვენი შვილები — ასე რატომ დავკანკალებთ ტანსაცმელს, წიგნებს, მამის წერილებს და ასე რატომ ვჯავრობთ, პურის ლუკმას რომ მიატოვებენ ხოლმე.**

ცალკე მე ვიფიქრე, ცალკე იმ ჩემმა მომიჯნეებმა, მაგრამ ვერცერთმა ვერ გავიხსენეთ, როდის მოხდა ეს ამბავი, ომის მესამე ზაფხული იყო თუ მეოთხე? მთავარი ის არის, რომ მაშინ ან თორმეტი წლისა ვიყავი, ან ცამეტისა. ომი იყო და პურიც ჭირდა, წიგნიც, ტანსაცმელიც, ყველაფერი ჭირდა და ხახვი რაღად იქნებოდა თავზე საყრელი! ჰოდა, მთელი ვენახი ლობიოთი რომ გავავსეთ, ნაქოხარის გასწვრივ, აქაოდა თვალწინ გვექნებაო, სამი უფრო მეჩხერი მწკრივი დავტოვეთ, საგულდაგულოდ გავაფხვიერეთ და რის ვაივაგლახით ნაშოვარი ორიოდე პეშვი ხახვის თესლი მივაბარეთ მიწას. ნაკელსა და ცხვრის დრემლას ვინ გახდიდა საჩვენოდ — ეგრე, ბედის ანაბარა მივაგდეთ და მაინც იმედის სიკეთით აგვავსო იმ დალოცვილმა — ჯერ მწვანე ნემსებად ამოღივდა და ამოიშალა, მერე კვალიც გააბა და თითქოს ერთბაშად დაფოჩიანდა კიდევაც. საურმეზე გამვლელ-გამომვლელს კისერი ეღრიცებოდა იქით ყურებით, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, სიტკბოდ არ გადარეულა ეს მწარე ხახვიო!.. დავბრუნდებოდი სკოლიდან, გულხეთქებით ვისწავლიდი სახვალიო გაკვეთილებს და გულხეთქებითვე დავეშვებოდი თავქვე — ჩავათავებდი მთელ შვიდ კილომეტრს და ხახვის ძირის ამჩვილებაში, გამარგვლაში, გამოხშირვაში, თოხნაში ვეხმარებოდი ნინო ბებიას. ვენახისა და ფეხის მოსავლის მომყვან-მომვლელები მე და ნინო ბებია ვიყავით, დედაჩემი დღე და ღამე საკერავ მანქანას უჯდა.

მერე დაიწყო არდადეგები და ზაფხულიც დაიწყო. ვენახის ახლო-მახლო მივდექ-მოვდექი: ხევის პირებში, ბარდებში, ღელე-ღუტეებში საქოხე ბოძები, კავები გამოვჩხრიკე და ხახვის კვლების თავში ქოხი ჩავდგი. ისე გემრიელად დავახურე შალაფა, ისე ამოვწანი გვერდები, ღვართქაფიც ვეღარ წამართმევდა ძილს. ქოხში მაგიდაც გავაკეთე, განიერი საწოლიც გავმართე, ისიც შალაფით დავალეიბე და იმ საწოლქვეშ საკოკე ორმოც ამოვჭერი. სხვათა შორის, ჩემი ნაცოდვილარი ქოხი წინა წელსაც გვედგა, მაგრამ დაგვინგრიეს — შეშად წაიღეს. „ეგ ქოხი რა სითბოსაც გაიმეტებს, ამგრემც იმ სითბოსავით დალეულა და დაშრეტილა მაგისი წამღების ოჯახიო, ამგრემც მაგის ნაცრით ამოვსებია თვალებიო", — მარტო ესა თქვა ბებიამ და დედაჩემმაც დაუმოწმა—ამინო...

როგორ არ დასწყევლიდნენ: უპატრონოს კვალობაზე შინაურულად დაეშალათ—საწოლისა და ქოხის შალაფა ჭიაკოკონად დაენთოთ. გონგორობა ჩავლილი იყო უკვე, თრთვილი იდო და ამ საცოდავებს ასე რომ არ ემარჯვათ, ხელები გაეთოშებოდათ სიცივით!.. ან კი რა ჩემი მამაბიძების შიში და ხათრი დაახევინებდათ უკან: მამაჩემი საფლავის ბორცვად გვეგულებოდა სკოლის ეზოში; ბიძები, ეჰ, ბიძები, ვინ იცის, ვის მიწაზე უძალიანდებოდნენ სიკვდილს! მე კი ჯერ ისევ ბებიას კალთას ვიყავი ამოფარებული, ვენახში დღისითაც არ მტოვებდნენ მარტო, ვინმე ოხერმა არ შეგვიშინოსო...

ქოხის ჩადგმა რომ დავამთავრე, ავიკარით გუდა-ნაბადი მე და ნინო ბებიამ, ერთი უჯიშო ძაღლი გვყავდა— ბუტია, ისიც წავიყვანეთ და გამოვეცხადეთ ჩვენს მარჩენალ ვენახს. ჩვენს გარდა ამ ახლო-მახლო სხვებიც იყვნენ ღამეღგომით, ნუგეში და იმედი არ გვაკლდა ერთმანეთისა, მაგრამ სამნი მაინც — მე და ჩემი ორი მომიჯნე — უერთმანეთოდ არც საბანაოდ მივდიოდით, არც წყაროზე წყლის მოსატანად და არც უერთმანეთოდ ჩაგვჭიდებია იმ ავი შიმშილის კლანჭები. ერთი ჩემი ტოლი იყო, ქვემოუბნელი გოგია, მეორე — ჩემი მეზობელი, ჩვენზე სამი წლით უფროსი — მიხო. გოგიამ პაპისეული ფისტონიანი თოფი ჩამოიტანა, ისეთი, ქანდარად რომ გაგემეტებინა, ზედ რატომ ცხრა ინდაური არ გაიმართებოდა მამაპაპურად. რაკი მიხო უფროსობდა, თოფიც მის გალეულ მხარს ამშვენებდა ყოველთვის. ორიოდე სროლა ტყვია-წამალს ათასი ხვეწნა-მუდარითა და დაცოტავებული ჯანით ვშოულობდით: ვის თოხნაში წავახმარდით ხელს, ვის ფიჩხის მოჭრაში, ვის ბალახის თიბვაში.

ჰო, მარტო ვენახის შესაწამლი აპარატის ასაკიდებლად არ ვეთმობოდი ჩვენებს — ადრე დაგვეჩაგრებაო. ვხედავდი, გვიჭირდა და დანარჩენ საქმეს აკი უთქმელად და უჯაჯღანოდ ვაკეთებდი. მაგრამ თოხნა იყო რაც იყო, ასე უმოწყალოდ რომ მაკლებდა ძილსა და ძვალ-რბილიანად მამტვრევდა: ჯერ ის იმოდენა ვენახი და მერე იმაზე მეტი სიმინდი ვენახის გვერდით!... რიჟრაჟზე მაღვიძებდა ბებია. წამოვდგებოდი მთქნარებით, ძლივს ავითრევდი ფეხს და უგერგილოდ ვიქნევდი თოხს. თუმცა ხალისიც მალე მიბრუნდებოდა და ნელ-ნელა, მტკაველ-მტკაველ ბარაქა მაინც ედებოდა საქმეს. ამასობაში ის ჯანიანი ბიჭები — მიხო და გოგია მორჩებოდნენ თავიანთი ვენახების თოხნას და რაკი მათი ულალატო ძმაკაცი ვიყავი, გადმომეშველებოდნენ ხოლმე. გაივლიდა ორი-სამი დღე და მომდევნო თოხნამდე დილის ძილს ვიტკბობდით.

ამასობაში ვაზმა მტევანი დაიმსხვილა, სიმინდმა ულვაში დაიყენა, ფერი დაეწმინდა ვაშლატამას და ხახვის გადათელვის დროც დადგა. მოვიდნენ ბიჭები, გახედ-გამოხედეს კვლებს, ნინო ბებიას თქმისა არ იყოს, დღესვე თუ არ გადავთელეთ, მზის პირის ნაბანზე აყოტდებაო — გავუარეთ და გამოვუარეთ შიშველი ფეხებით, გავუარეთ და გამოვუარეთ, ისე საგულდაგულოდ გადავთელეთ, ერთი ფოჩი არ დაგვიტოვებია აყელყელავებული.

— ეხლა ძალას ჩაიბრუნებს და თავს დაიმსხვილებს, — თქვა ბებიამ და ქოთანს მუგუზლები მიუმარჯვა.

და მართლაც: ათი დღის შემდეგ გავსინჯეთ და გავიხარეთ — ბოლქვი ისე დაებერა ხახვს, ჩვენს ლობიოს ქოთანს ერთი თავის ჩაჭრის მეტი არც უნდოდა.

— ათ ტომარაში არ ჩავა, — თქვა გოგიამ.

— მოიტა სანაძლეო — მე თორმეტი მითქვამს! — ხელი გაუწოდა მიხომ.

— ღმერთმა გისმინოთ! — ამოიოხრა ნინო ბებიამ. — იქნებ ეხლა მაინც შევმოსოთ ბალღები!

შარვალზე დავიხედე: მუხლისთავებთან ისე იყო გაცრეცილ-გაწყალებული, გამეტებით ვერ ჩავცუცქდებოდი.

თოხნაში, ნადირობაში, ბანაობაში, ზღაპრებში ჩამოინავლა დღეები და სიმინდს რძეც შეუდედდა — ზედადგარზე შემოდგმულ გამურულ ქვაბში ჩასაყრელად ძლივსღა ვპოულობდით ჭყინტ ტაროს. ახლა კი გვეშველაო,— თქვა ნინო ბებიამ და საქმესაც შევუდექით: სიმინდს ზეზეურად შემოვაცალეთ ფუჩეჩი, ოღონდ არ მოგვიტეხია — ასე მალეც გახმება და ღონესაც შეინარჩუნებსო. მართლაც, მალე გაიმაგრა მარცვალი. ჩვენც აკი ეს გვინდოდა: შევესიენით, მოვამტვრიეთ, დავფხვენით და მზის გულზე გავფინეთ გასაშრობად. კბილები ავიტკიეთ კნატა-კნუტით: დღეში ბარე ათჯერ ვსინჯავდით, იქნებ საწისქვილედ უკვე ამღერდაო. და'როცა გული გაიმშრალა, მიხომ გაავსო ნაკრაულა, უთენია მოიკიდა და გაუტია სადგურისაკენ — ერთ საათში კალიასავით მივახტები მატარებლის კიბეს, ავდუგდუგდები კონდოლში და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ბიჭი აქ იქნებაო. არ გასულა ბევრი დრო და ნინო ბებია შინ წავიდა: დედაჩემს შემოეთვალა, ორი დღით ქალაქს მივდივარ, შვილებს უნდა მივხედო, სახლი უპატრონოდ რჩება და ამოდიო. კაცმა რომ თქვას, მოსაპარი აღარაფერი გვებადა, რაშიც ფასს გაიმეტებდნენ, ყველაფერი რახანია სარჩოზე გადავცვალეთ, მაგრამ იმ კედლებსა და იმ დაფაცხავებულ ჭერს მაინც სახლი ეთქმოდა. სახლს კი, ჰმ, არც მაშინ მოსცილდებოდა პატრონის თვალი.

— არსაით გახვიდე, შვილო, — მითხრა ბებიამ. — ხე და ბალახი წლის მოსავლად გვიქცევია და ვინმე უკეთურმა არ დარიოს ხელი.. ასე მცოდნოდა, მიხოს აღარ გავუშვებდი წისქვილში.

— ნუ გეშინია, — დააიმედა გოგიამ. — ეს თოფი განა სათამაშოდა გვაქვს?

— ქურდი ქურდად და მე მაგ თოფისა უფრო მეფიქრება! ნუ ეხუმრებით, შვილო, ტყვიას ისვრის, ზამბას კი არა, აგრემც მაგის მომგონი და გამომცემელი ჩაშლილა ცივ მიწაში!... ღამე მოიკელით, შვილო, ძილი, დღისით კი მიდეთ თავი და მიუგურგურეთ სიზმრებსა.

— განა ისევ ბალღები ვართ!

— გხედავ, შვილო, და ვიცი!.. თუ რამე გაგიჭირდეთ, ეგე, ვანოს დაეხმაურეთ, რევაზისა, თომასა... საღამომდე გაუძელით, შვილო, საღამოთი უსიკვდილოდ მოგაშველებთ მჭადსა.. აბა, თქვენ იცით, შვილო...

ბებია რომ წავიდა, გოგიამ თოფი ქოხის შალაფაში შეაცურა:

— წავალ, ჩემს ვენახს შემოვუვლი, მიხოს ვენახსაც... ერთი მამაჩემს მისცა ნინო ბებიას გული და ხალისი!.. მე მოგიკვდე, არც მიხოს დედას აწყენდა!.. ბუტიას წავიყვან.

— წაიყვანე.

მაინც აედევნებოდა და, რა ძალა მედგა, რაღაზე ვეტყოდი უარს!

ქოხის ჩრდილში ვარ წამოწოლილი და ვფიქრობ: სიმინდმა ოთხჯერ გათოხნა დამიფასა — სულ ტყუპ-ტყუპი ტარო აყრია; ლობიომაც ბარაქა გამოიღო; ეს ხახვიც თუ სიკეთით ამოვიღეთ და ვენახიც გადაურჩა სეტყვას, ამოვსულვართ სიღარიბიდან და ეგ არის! მეტი არაფერი მინდა, მარტო შარვალ-ხალათი მაყიდვინა, ის დაკონკილი პალტოც გადამაგდებინა და, ჯანდაბას, ისევ ქალამნებით ვივლი!.. თუ ღორიც ვიყიდეთ — გასაფუფქი კი არა, გასატყავებელი — აუჰ, რამდენი საქალამნე შოლტი მექნება!.. ერთ შოლტს მიხოს ვაჩუქებ, ერთს — გოგიას.. დაკვლაშიც რომ იქ იქნებიან, არ უნდა ლაპარაკი!.. ახალი წიგნებიც კარგი იყო, მაგრამ, ეჰ, სხვა ვიღასა აქვს



ხოლმე ახალი წიგნები, მე რომ მქონდეს?.. ნეტავი ცუდი ხომ არაფერია, ასე მოულოდნელად რად მიდის დედაჩემი ქალაქში?! საწყალი, გიორგას ბიჭი დათია დაღუპულა ფრონტზე!.. დაიწყო ომი და ჩემი ბიძების წერილებიც შეწყდა, ნეტა ისე უცებ რა დაემართათ?

გვერდი შევინაცვლე და შევკრთი: ვიღაც კაცი ჩრდილივით მოპარულა, დამდგომია თავზე და მშვიდად ახრჩოლებს თამბაქოს. საშუალო სიმაღლისაა, გაჯაგრული; შელანძღული ტანისამოსი აცვია, ხელში წვერწამტვრეული ძველი სარი უჭირავს და ცალ ფეხზეა დაყრდნობილი, მეორე ფეხი ორი გოჯით მაინც ასცილებია მიწას — ეტყობა, მოკლე აქვს. ციმციმ წამოვჯექი, აი, ისე, ვინმესი თუ რაიმესი რომ გვეშინია, არ შეგვამჩნიოს და არ დაფრთხესო, თან თვალს არ ვაშორებ... თვითონ მეველეს ყაიდაზე აუწევია თავი და აქეთ-იქით იხედება ყინჩად.

— გამარჯობა, ჯეელო! — ღიმილით მომესალმა, სარი ქოხის ბოძზე მიაყუდა, თუშური ქუდი მოიხადა, ხელზე დაიფერთხა და ქოხის ჩრდილში დაჯდა. — აქაური ხარ, ჯეელო?

— დიახ.

— წყალს ვერ დამალევინებ, ჯეელო?

— რატომაც არა, — ორმოდან კოკა ამოვიღე, ტოლჩა გავუპიპინე და მივართვი.

უგემურად მოწრუპა ორიოდე ყლუპი, დანარჩენი წყალი გადაღვარა, ტუჩებზე შიშველი მაჯა გაისვა:

— მამაშენი სად არის, ჯეელო? — ტოლჩა მომაწოდა.

— მამა აღარა მყავს.

— მა ვინ უვლის ამოდენა მამულს, ჯეელო? — ხახვის კვლებს თვალი გაადევნა.

— მე და ნინო ბებია.

— ღამე აქაც იცის კოღო, ჯეელო?

— ბლომად.

— კარგი იყო, ძაღლი გყოლოდა, ჯეელო! — წამოდგა.

ახლა კი მივხვდი, რატომაც წრუპავდა თვალებს და საწყლად ვუთხარი:

— ძაღლი რათ გვინდა, ჩვენი სამყოფი საჭმელიც არა გვაქვს!.. სადაური ბრძანდებით?

— გაღმელი ვარ, ჯეელო, — ჯოხი აიღო და გზისკენ წაქანავდა. — იქით რომელი გზით წავიდე, ჯეელო? — ჩემი სოფლისკენ აიქნია სარი.

— ეგე, ემაგ საურმეს დაადექი და სულ პირდაპირ იარე, — უკვე ფერ-ფური გადამდის.

— აბა, ყოჩაღად იყავი, ჯეელო! — კოჭლობით, თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიდიოდა.

ქოხში შევვარდი და ჭუჭრუტანიდან დავუწყე თვალ-

თვალი. საურმეზე რომ გავიდა, გაჩერდა, დაიხარა, ქალამნის თასმებს დაუწყო წვალება, თან უკან გამოაპარა თვალი. ალბათ იფიქრა, აღარ მიყურებსო, წამოიმართა, დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა და სწრაფად დაუყვა თავქვე.

ერთხანს გავხევდი, მერე, შიშით იყო თუ რით იყო, გაწვრილებული ხმით შემოვძახე:

შენი გამდელის ჭირიმე,
ახალციხელო მჭედელო,
შენ რო თოფი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდნენო.

დავფიქრდი და უარესად დამიარა შიშის ელდამ. ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო და მე და გოგიას რომ ჩაგვძინებოდა, ეს რაღა გასაკვირია?.. მოკლედ, ბუტიას იმედიღა მრჩებოდა — ის ისეთი ოხერი იყო, მგელზე მიგეშვა, მაშინაც არ ამოიჩრიდა კუდს ლაჯებში. მაგრამ ბოლო ხანს რატომღაც აღმა-დაღმა დარბოდა ჩვენი ბუტია, ისა და სხვა ძაღლები ხან არხს ქვეით დაგრიალებდნენ, ხან ხევგაღმა დაშლიგინობდნენ. ერთიც და მეორეც ისე შორს იყო, ღამეც ძლივს გაუწვდენდი ხმას...

გოგია მოვიდა, ნაგოლვი კიტრი და პამიდორი მოიტანა თავისი ამოჩხლართული კალათით და მაგიდაზე დადო.

— რამ მოგთენთა, გეძინა?

ხმა არ გავეცი.

კაჩხაზე ჩამოკიდებული ხურჯინის თვალი გახსნა და ხელსახოცში გამოკრული ხვრიში მარილი ამოიღო:

— ადე, მწვანილი და ხახვი გამოიტა, ვიდრე მჭადს მოგვაშველებდნენ, ცარიელი სალათით გავიდეთ იოლას.

წამოვდექი, ვენახში შევედი და ხახვს რომ დავწვდი მოსაგლეჯად, გაოცებულმა იკითხა:

— ვინ იყო აქა?

— გითხრა ვინმემ?

— აი, პაპიროსის ნამწვი გდია.

— ჰოო, ქურდი მობრძანდა და ჩემი ხახვი შეიგულა.

— ვინაო?!

— ქურდი.

ეგონა ხუმრობსო — ფერდებზე ხელი მიიჭირა და ბებრულად ჩაიხითხითა:

— მოვკვდი კაცი სიცილით!

— მართალს გეუბნები! — მწვანილი და ხახვი ორჯამიანში ჩავყარე.

ახლა კი დამიჯერა:

— როგორი კაცი იყო?

ეგეთი და ეგეთი იყო-მეთქი. არც ის დამვიწყებია, დაფაცხავებული ქუდის ყალამნიდან გაზეთის ქაღალდის ნახევი რომ მოუჩანდა.

— ჩვენებური არ ყოფილა!

— გაღმელი ვარო.

— არც გაღმელი იქნება.. მისამართს კი არა, ის არ გინდა, ბარემ გვარსა და სახელს გეტყოდა და ზედ დაბადების წელსაც მოაყოლებდა!.. რა ვქნათ, ჰა? — ისიც საგონებელში ჩავარდა.

რა უნდა გვექნა — მიხო წისქვილში იყო, ბებია — შინ. მიხო და ეს თოფი, ბებია და წიოკობა: ჯარ-ჯამაათი შეიყრებოდა და ვინღა რას დაგვაკლებდა! ტყვია-წამალი კი გვეშოვებოდა, მაგრამ რა გინდა, რა, ისეთი დარტყმა ჰქონდა ჩვენს თოფს, გულაღმა თუ არ დაგვახეთქებდა, მხარი მაინც არ შეგვრჩებოდა მთელი!

— წავალ, — წამოხტა გოგია. — თომა პაპასაც შევატყობინებ, ვანო ძიასაც, რევაზი ძიასაც, უშანგისაც.. ამათ იციან და იმ ქურდებმა!... ვიღაცაა, სეირს ვანახებთ, მარტო შენი რა სათქმელია, თავისი ხახვიც უნდა დავაცავიწყოთ! იფიქრა, უპატრონოაო, ის კი არ იცის, უპატრონოს უფრო ბევრი მშველელი რომ გამოუჩნდება ხოლმე!.. შენ აქედან ფეხი არ მოიცვალო! — გაიქცა და ბუტიაც აედევნა, — ეს სადღა მიდის! — დაიხარა და ქვას დაუწყო ძებნა. — აბა, ერთი, დამიდექი მანდა!

ბუტია გამოიძურწა და საწოლქვეშ შეძვრა.

— არ დაიგვიანო!

— მალე მოვალ.

მალეც მოვიდა:

— თომა პაპა ნარიყის ასაქუჩებლად გასულა ნაშეშში; რევაზი ძია ბალახსა თიბავს წარაფებშიო; ვანო ძია სიმამრს საზამთროს დაკრეფასა შველისო; უშანგის კიდევ თელავში ატამი წაუღია გასასყიდად... საღამოთი მოვლენ, მანამდე იქნებ სხვა ვიღონოთ რამე.

მაგრამ მზის გადახრამდე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ.

მზე რომ ჩასასვლელად გადაიხარა, ბუტიამ ყური ცქვიტა, მზეში გავარდა და სოფლისკენ გაიხედა წკავწკავით.

— შენც გაიგონე? — მკითხა გოგიამ.

— რა უნდა გამეგონა?

— მგონი მიხოს ხმა იყო, ეგე, აჰა, ძაღლიც იმას არ ამბობს?

ამ დროს ზედ ჩვენი სიმინდის თავში დაიხმაურა მიხომ:

— ეჰეი, ძმებო ქართველებო!

ძაღლი ყეფითა და შრიალით შევიდა სიმინდში, ჩვენ კი ისე გაგვაშეშა სიხარულმა, წამოდგომაც ძლივს მოვახერხეთ. წამოვდექით და ბუტიაც კუდის ქიცინით შემოვიდა ქოხში; ბუტიას მიხო შემოჰყვა: ხვითქი გადასდიოდა. დამძიმებული პურის ჩანთა მოიხსნა და დაგვიცაცხანა:

— ჩქარა წყალი, თქვე ლონდრეებო!

ხუთი ტოლჩა წყალი დალია, ერთი ტოლჩა კიდევ თავზე დაიპირქვავა. ოფლი და წყალი ხალათის კალთით შეიმშრალა, ამოიქაქანა, ცოტა მოითქვა სული, მერე პურის ჩანთა ჩამოიღო და თონეულა მჭადები მაგიდაზე წამოყარა.

—აბა, დასცხეთ, ბიჭებო!.. ნელთბილი მაინც ჩავიტანო-მეთქი, ავიწყვიტე და დავეშვი თავქვე — კინაღამ გავიგუდე სირბილით! — ერთი მჭადი აიღო და ბუტიას გაუგორა. — მიირთვი, შე ამაგიანო!

ამ ნანატრმა სიხარულმა სავაგლახოდ გაგვილვიძა მადა — დაქიმითულები ვეცით, კიტრი და პამიდორი არც გაგვხსენებია. მიხო კი მზრუნველად მოგვჩერებოდა, ჩვენი მიხო, ჩვენი კეთილი, ბრძენი მიხო.

— წისქვილში არ წასულხარ? — ჰკითხა გოგიამ.

— მა ციდან ჩამოცვივდა ეს მჭადები? ღმერთი რომ ჩამოჰყრის ხოლმე, დალოცვილო, იმას ქადა ჰქვია!

— ეგრე მალე?! — გამიკვირდა.

— განა უწინდელი დროა, შევაბათ ხარ-კამეჩი და მთელი დღე ჭრიალ-ჭრიალით გავებათ გზაზე! ეხლა, ჩემო მშიერო ძმებო, განათლდა ქვეყანა! ომია და ხალხი ქვითა და მშვილდ-ისრით კი არა, ტანკებით, წყალქვეშა ნავებით, თვითმფრინავებით, ავტომატებით დაერია ერთმანეთს. ჰოდა, ამ დალაგებული ხალხის საუკუნეში წისქვილში რაღად ვივლით ურმითა — მატარებლით დავბრძანდებით!.. ავედი კონდოლში, ზედ ბაქანთან როა, არ მინდოდა, მაგრამ, ჯერ იმ წისქვილში შევეხეტე და ვხედავ: ჩემი კაი ძმაკაცი — მეწისქვილის ბიჭი ლევანა, ჩაყუდებულა ხვიმირაში და მინდს იღებს. მამაშენი სადღაა-მეთქი. სიცხე აქვს და წევსო· იმ ავკარგიან ღმერთს ვენაცვალე, ის უგემური კაცი ამ უბედურ სიცხეში

მატყლის საბანში რომ გაახვია! სადა ხარ აქამდე, სად დაიკარგეო. საქმეს ველარ გავეშვი-მეთქი... იმდენი ხალხია წისქვილში, იმდენი საფქვავი, მეწისქვილის ბიჭმა ქვა შეაგდო და ფქვილით გაგანგლული თავი შეუშვირა, მე ორი დღე მაქვს გუნებაში და სწორზეც არ მოგიწევს ჯერი... შენი საფქვავი რომელიაო. ნაკრაულს ფეხი წავარ-



ტყი, აეს არის-მეთქი. აიღო, მოხსნა პირი და პირდაპირ ხვიმირაში ჩაუძახა. მერე შემიყვანა თავის ოთახში, ნაკლულ საცალოზე მიაგდო ტომარა, იმდენი მოამხე, რამდენსაც დაძრავო. ეს ეხლა თქვენი რა არის, ის ჩემი სიხარული უნდა გენახათ!.. დადინჯებული კაცის კვალობაზე გავავსე ჩემი ტომარა, დავემშვიდობე მადლობით, გაველი ბაქანზე და მატარებელმაც დამყვირა — მოვედიო. შევახტი. ჩამოვედი ვაჩნაძიანის სადგურში და ამოვიქაქანე მერე: მივუახლოვდი ჩვენს სახლს, მივიხვნეში ორღობეში და დედაჩემიც არ გამოდის ეზოდან?! — უკან რატომ მობრუნდი, შე არგასაზრდელოო, ღობის სარს ეჯაჯგურება ამოსაძრობად. ამ დაკუზიანებულ კაცს სიცილის სიკეთისა არაფერი მეცხო, მაგრამ არ გამეცინა?! სიცილმა მიახვედრა, შიმშილის უჟმური რომ აგვხსნოდა და თქვენკენ მიმავალი ჩვენს ეზოში შემაბრუნა, მაინც ჩვენს თონეშია ჩასაკვრელიო, — დაუძახა ნინო ბებიას: წყალი აადუღეს, ფქვილი გაცრეს, მოზილეს, თონე ამოახურეს, გუნდა ამოიღეს და მჭადიც უცებ ამოყარეს. ცხელი მჭადით გავავსე ჩანთა, ფქვილი კიდევ ნინო ბებიას გამოვატანეთ, ველარ მოვიცდი, ბიჭებს გუშინდელს აქეთ შიმშილი აცოდვილებს-მეთქი, და დავეშვი თავქვე — მოვდივარ და მოვილუკმები. მალეც ჩამოვედი — თითქმის ისევ ცხელია მჭადი.

— ძალიან გემრიელია! — თქვა გოგიამ და მეოთხე მჭადი აიღო.

— ამათი სიმინდისა უფრო გემრიელი იქნებოდა, მაგრამ ეხლა ესა სჯობია!

— დღეს რომ არ ჩამოსულიყავ, მართლა ცუდად იყო საქმე, — მეც მეოთხე მჭადს გადავწვდი.

რაკი შიმშილმა გამიარა, შიშმაც გამიარა და მშვიდად ვთქვი:

— ამაღამ ხახვი უნდა მომპარონ.

დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი.

— დასაზვერად მოსულა, — თქვა მიხომ და ღიმილით წამოდგა. — მაგას ტყვია უნდა გამოვუწერო გრძელ ფეხში, ისიც დაუმოკლდება, მერე გამართულად ივლის და მადლობასაც მომახსენებს სალაყბოზე... გოგიავ, თოფი მოიტა, კახავ, მჭადი ჩაუძახე ჩანთაში, თორემ ბუტიას ამბავი ხომ იცი — თვალს როგორც კი მოაცილებ, კაი მეოჯახე დედაკაცივით აალაგებს სუფრას...

მიხომ საპირისწამლე შეუმოწმა თოფს, ფისტონიც, და მხარზე გადაიკიდა.

— წადით და წყალი მოიტანეთ ორივე კოკით, — გვითხრა მერე. — თან იბანავეთ კიდევაც. მე უნდა მივდგემოვდგე, საქმე მაქვს, დაბრუნებისას აქ თუ არ დაგხვდით, ქვეყანა არ შეყაროთ ძახილით. იმაზე, ჩვენ რომ ვიცით, კრინტი არ დასძრათ არავისთან!

— ბუტიას შენ წაიყვან? — ჰკითხა გოგიამ.

— აიდევნეთ, არც მაგას აწყენს ბანაობა. რაღა ჩემი გესწავლებათ, მზის ჩასვლისას უფრო თბილია წყალი.

— ხახვში ხომ არ დაგვება?

— ამ შუადღისას აქ არავინ მოვა. წაიყვანეთ, წადით და წაიყვანეთ!

მე და გოგია ფიქრითა და უგუნებობით ისე ვიყავით გათანგულები, არც სიცხე გაგვხსენებია, არც ბანაობა. ჩავედით არხზე, გავავსეთ კოკები და მაშინვე გამოვბრუნდით უკან. მოვედით ვენახში და ვხედავთ: მიხოს თოფი მიწაზე წაუწვენია, გამურული ქვაბის შემოსადგმელი ქვები აქეთ-იქით გაუწევია, გაუშლია ნაცარი, ჩაუმუხლავს და იმ ნაცარს ჩხირით ქექავს, თან რაღაცას ბუტბუტებს. ბუტია მიელაქუცა: ნაცარზე გადაიარა და მუხლებზე შეაფოფხდა.

— ერთი ამას ვერ უყურებ, რა გეგმა წამიშალა?! — გაეცინა მიხოს და ძაღლი გვერდზე მიაყენა ხელით. — კოკები ჩრდილში დადგით და აქ მოდით, ბიჭებო... აი, ეგრეა საქმე: აქაურობა მივზვერ-მოვზვერე და დავადგინე: აეს შენი ვენახია, კახავ, ეს კიდევ შენი სიმინდი, — ჩხირით გრძელ ოთხკუთხედებს ხაზავს ნაცარში. — ქურდს სიმინდის იქითა მხარეს გაუვლია, მარჯვენა ფეხით ყოფილა კოჭლი; მარცხენა ფეხის ტერფი ბრტყლად ეტყობა ფხვიერ მიწაზე, მარჯვენისა კი მარტო ფეხის წვერი. დიახ, პატივცემული ქურდი ვენახის თავიდან შემოვა ხახვის მოსაპარავად. ერთი გული მეუბნება, მარტო იქნებაო. ერთი გული იმასაც მეუბნება, ცხენის მაზიდით მოვაო. ცხენის მაზიდს ლექსო პაპას ქოხთან გააჩერებს. ამაზე უკვე უზრუნვია — ღობის ლატნებს ერთი მავთულიღა იჭერს. იმ მავთულსაც შეხსნის, გაითრევს და გაიმინდვრებს. ჩვენს ქოხს მოერიდება და რომელი გზითაც მოვიდა, იმ გზით დაიწყებს ხახვის ზიდვას. სიმინდის მხრიდან მოჰყვება მწკრივებს და ქოხამდე ორმოციოდე ნაბიჯი რომ დარჩება, მაშინ აიკვირაძალებს, ხათრით კი არა, ზოგი პატრონს დარჩესო, არა, მაზიდზე თავდაუჭრელი ხახვი მეტი არ დაეტევა და იმიტომ... ახლა ადექით და საქმეს მივხედოთ. — წამოდგა მიხო, თოფი აიღო, ქოხში შეიტანა და საწოლზე დადო. მერე ქოხის უკან გავიდა და ვაზის გამხმარი პწკლით გაბერილი მავთულის მომცრო გორგალი გამოიტანა. — კაჭაჭი, ჩალაბულა, წალამი მოზიდეთ, ბიჭებო, და, ეგე, საურმეზე დაყარეთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს გაზაფხული

### ილია აროსია

საგაზაფხულო
აღტაცების
ნეტარ სიმღერად
მოიჭრა სიო
და ეზოში
პატარძალივით
შეკრთა ყინული, —
მიიმალა
და მოკრძალებით
ხეებზე კვირტებს
აეხილათ თვალი
ცისფერად...
თოვლის ფიფქებიც,
მთებიდან
რომ გველანდებიან,
ამ ნათელ დღეთა
სიყვარულით
ნელა დნებიან...
ჩონგურის სიმებს
შეარხევენ
ნაზი თითები,
დიდი მედროშის
სიყვარული
კვირტშიც რომ
ღვივის,
მზე დგება ახლოს,
რომ მოჰფინოს
ქება-დიდების
უხვი ნათელი
მშობლიური
თვალების ღიმილს.



**როდამ ჩაჩანიძე**

# ფერეიდანი

მხატვარი კ. მახარაძე

შარშან კახეთი აუჯანყდაო შაჰ-აბასს. აჯანყებას სათავეში კახეთის დიდი ვექილი დავით ჯანდიერი ედგაო. აჯანყებულებს იმერეთიდან თეიმურაზ მეფე გამოუხმიათ. შაჰს აჯანყების ჩასაქრობად 15 ათასი ყიზილბაში გაუგზავნია ცნობილი სარდლის ალი-ყული ხანის მეთაურობით.

ალი-ყული ხანს თბილისი გაუვლია, მტკვარზე გადასულა და წიწამურთან დამდგარა. უნდოდა თურმე თეიმურაზისათვის გზა მოეჭრა.

კახეთის რაინდი მეფე-მგოსანი 5 ათასი კაცით არაგვზე გასულა და შუადღისას მტერს შებმია. გამწარებული თურმე ყველაზე წინ მიაქანებდა ცხენს და ყიზილბაშებსაც პირველი ეკვეთა. საღამომდე ქართველები საქმეს მორჩნენ, მიმწუხრის ჟამს ირანის 15-ათასიანი არმია უკვე აღარ არსებობდა. გამარჯვებულებს დიდი ალაფი დარჩათ, აქლემი ერთ აბაზად იყიდებოდა.

ამ ამბის გაგებაზე მთლად გაცოფებულა შაჰი. მით უმეტეს, რომ შეუტყვია — ქართველებს შირვანელებიც გვერდში ამოუდგნენო.

შაჰმა თურმე უზარმაზარი არმია შეჰყარა და კვლავ დაიძრა პატარა, უტეხი კახეთის საბოლოოდ ამოსაძირკვავად. ამჯერად ქართველები დამარცხდნენ და მტერმა კვლავ სასაკლაოდ აქცია ალაზნის ველი და ჭალები. ნაწილი ხალხისა ისევ სპარსეთში გამორეკეს.

ერთი წლის შემდეგ კიდევ ახალი ნაკადი მოვიდა ფერეიდანში. ეს უკვე შედეგი იყო იმ შებმისა, გიორგი საავაძეს ხმალი რომ გადაუტყდა მარაბდის ომში.

და დაიცალა კახეთი, გაიჟუჟა, მაგრამ არ აღესრულა! აღარ გათავდა!

რეზო რომ წამოიზარდა და დავაჟკაცდა, ონიკაშვილებს გამოეყო. თუმცა ონიკაძეთაგანაც ვინღა დარჩა, გიორგი და თორნიკე ყულის ჯარში წაიყვანეს. შინ მარტო დათუნაღა დაიარებოდა.

იმ წელიწადს ისპაჰანის მოურავად ქართლ-კახეთის მეფის ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზად წოდებული), შვილი დანიშნეს, ფერეიდანში კვლავ მოვიდნენ მოლები, მაგრამ ახლა უკვე თან აღარ ჰქონდათ თავწასაგდები ნაჯახი...

გაზაფხული იდგა.

ფერეიდანი სულაც არ იყო ისეთი, როგორიც ამ რამდენიმე წლის წინათ. ლამაზი ქართული ოდა-სახლები მომრავლებულიყო, ბაღჩა-ბოსტნები ბიბინებდა. კაცის გამრჯე მარჯვენას გაეღვიძებინა მიწა, და ისიც უხვად იძლეოდა მადლსა და ბარაქას.

ზედა მარტყოფის ქვემო მოედნის ახლოს ერთი სახლი იდგა. ამ სახლში ქეთევანი და მისი ვაჟი ცხოვრობდნენ. ბიჭი, ის იყო, ტანს იყრიდა და ვაჟკაცდებოდა. დედა მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ლოცულობდა, შვილიშვილებს შესწრებოდა. ჯერ ახალგაზრდა იყო ქეთევანი, მაგრამ დარდსა და ვარამს გაეტეხა. ბოლო დროს სულ მოტყდა და ლოგინად ჩავარდა. ერთხელ, დილით რომ გაიღვიძა, რეზო მიიხმო და პატარა, ჭრელი პარკი გადასცა.

— შვილო, ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ამ პარკში შენი მამულის მიწაა. შენ არ გინახავს სამშობლო. ვინ იც-

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 1.

ის, იქნებ ვერც შენმა შვილებმა ნახონ და ვერც იმათმა შვილებმა. ეს მიწა გამოიზოგეთ გულზე მოსაფრქვევად.

და აღესრულა ქეთევანიც...

და აღესრულა კიდევ სხვა მრავალი...

...ფერეიდანში ისპაჰანის მოურავმა ალექსანდრემ ჩამოიარა.

ქართველები გარს შემოეხვივნენ გამაჰმადიანებულ უფლისწულს.

მოურავმა თქვა: „მამაჩემი, ქართლ-კახეთის მეფე ვახტანგ V ლიხს იქით გადავიდა. იმერეთი და ოდიში შემოიერთა. აფხაზეთისა და გურიის მთავრები ეახლნენ და მორჩილება შესთავაზეს, თეიმურაზ მეფე. ნახევარი საუკუნე ხმლითა და კბილებით რომ ებრძოდა შაჰს, ბერად აღიკვეცა, მამაჩემმა სკანდის ციხიდან გამოიყვანა და ირანს გამოგზავნა.

შაჰ-აბაზის ყველაზე დაუძინებული მტერი ასტარაბადის ციხეში გამოკეტეს და აქვე აღესრულა".

ფერეიდანში კახეთის ლომის კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი დარჩენილიყო ცოცხალი და მათ ცხელ-ცხელი კურცხალი გადმოყარეს.

წავიდა ეს უკანასკნელი ქართველი—ისპაჰანის მოურავი ფერეიდნიდან და ერთბაშად ჩამობნელდა.

საქართველო სადღაც შორს, ცხრა მთას იქით დარჩა...

რა ხდებოდა იქ? გადარჩა საერთოდ კი ქართველი კაცი? დადის ვინმე ცოცხალი, თუ ყველა აჩეხა მუხთალმა მტერმა?

ამბის მომტანი არავინ იყო.

დილით, როცა ცხვარს გარეკავდნენ შავ გორაზე, ჰალებში, მწყემსები ნაღვლიანად გაჰყურებდნენ ცის კიდეს, სადაც მშობლიური მხარე ეგულებოდათ.

და ჩამოწვა მდუმარება საუკუნოო... დადგა დედამიწა ერთ ადგილზე და აღარ იძროდა.

დროდადრო ფერეიდანში ამოსული სპარსელი ვაჭარი თუ მოიტანდა ხოლმე ყურმოკრულ ამბავს: არა, საქართველო ისევ დგასო. დიდ რუსეთს შეუერთდა და ახლა ძალას იკრებსო. ზოგს სჯეროდა იმ ქარიხვეტია ვაჭრებისა, ზოგს კიდევ ყველაფერი დაკარგულად მიაჩნდა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ორმა ფერეიდნელმა — სეიფულა იოსელიანმა და ონიკაშვილმა (უფრო ონიკაძემ) რკინის ქალამნები ჩაიცვეს და დაადგნენ საქართველოს გზას. მათი მოგზაურობა იმდროინდელ ბარბაროსულ სპარსეთში, სადაც დღისით-მზისით ფანატიკოსებმა თეირანში გრიბოედოვს თავი მოჰკვეთეს, ნამდვილი ვაჟკაცობა იყო.

ასობით კილომეტრი გამოვლო მამულის სითბოს მოწყურებულმა ამ ორმა ქართველმა და ძლივს შემოაღო მშობლიური ქვეყნის თალხიანი ჭიშკარი. ორივენი ქართულ მიწაზე დაემხნენ და თაყვანი სცეს წინაპართა ძვლებს.

იოსელიანისა და ონიკაშვილის მობრძანებაეროვნულ ზეიმად იქცა საქართველოში. დიდი ილია და აკაკი დირიჟორობდნენ ამ ზეიმს. ფერეიდნელებმა მოიარეს მთელი საქართველო. ყველა კუთხე, ყველა სახლი ფართოდ ულებდა კარს დიდი ხნის დაკარგულ ძმებს, თბილი და სანეტარო წუთები იდგა.

ბევრი რამ ითქვა მაშინ. შედგა ფერეიდნელთა სამშობლოში დაბრუნების გეგმაც. მაგრამ არც ირანის შაჰს და არც რუსეთის მეფეს ეს გეგმა არ იზიდავდა. ისინი მაშინ უფრო სხვა რამით იყვნენ დაინტერესებული: სადაა ოტომანთა დიდი იმპერია უნდა გარდაცვლილიყო და „ჭირისუფლის" სკამზე არავის დაესწრო.

დიდი ფიქრებითა და განცდებით, ოცნებებით ყელთამდე სავსე ორი ფერეიდნელი უკან რომ მობრუნდა,



ახაშნის საშუალო სკოლის დირექტორი გურგენ ნატროშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ეთერ ომარაშვილი ფერეიდნელ ბავშვებთან — ფანიაშვილებთან და აბრამიშვილებთან.

ყველა—ქალი და კაცი, ჭარმაგი და ბალღი გზაში მიეგება მათ, ზემო მარტყოფში ზეიმით ამოიყვანეს და მერე მთელი ერთი წელიწადი მოედანზე ხალხი არ დაშლილა, მოიქცევდნენ შუაში ხან სეიფულას, ხან კიდევ ონიკაშვილს და ერთსა და იმავე ამბავს ათასჯერ მოაყოლებდნენ.

წიგნი მოიტანეს დიდი საქართველოდან მობრუნებულებმა. ნაწილი წიგნებისა გზაში წაართვეს სპარსმა ემისრებმა. ნაწილი კი, რის გადამალვაც შეძლეს, სოფელ-სოფელ დაარიგეს.

დიდი ენჯომინების დროს, როცა ჩრდილოეთ ირანი რევოლუციის ცეცხლში გაეხვია, რამდენიმე ფერეიდნელმა სცადა კავშირის დამყარება ჩრდილო ირანში მყოფ ქართველებთან.

ძვირად დაუჯდათ მათ ეს ცდა, ყველას საპყრობილეში უკრეს თავი. მერე უფრო გვიან, ოქტომბრის რევოლუციამ რომ გაიმარჯვა, თეირანში საბჭოთა ბანკი გაიხსნა. ამ ბანკში ერთი ქართველი კაციც გამოჩნდა. ეს კაცი შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე ამბაკო ჭელიძე გახლდათ.

ამბაკომ და მისმა მეუღლემ, დიდებულმა ქართველმა ქალმა სარა ჭელიძემ კიდევ ერთხელ სცადეს კავშირი აღედგინათ ფერეიდნელ ქართველებთან. ირემი წყაროს წყალს ეძებდაო და წყაროს წყალი კიდევ ირემსაო. ფერეიდნელებსაც ეს ეწადათ და მოკლე დროში ჭელიძეების ბინა თეირანში ფერეიდნელ ქართველთა კლუბად იქცა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მოხუცები და ახალგაზრდები, ქალები და კაცები.

მიდიოდა ჟამი... ფერეიდანი კვლავ და კვლავ ბორგავდა.

ერთ დღეს ხმა გავარდა: ფერეიდანში ქართველები უნდა მოვიდნენო.

ვიღაცამ ისიც კი თქვა: ქართველები უკვე ისპაჰანში არიან და ამაღამ ამოვლენო.

იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს ფერეიდანის არც ერთ სოფელს. ზედა მარტყოფელები ქვემოთ ჩამოეგებნენ და ყველა ერთად ისპაჰანის გზას გაჰყურებდა.



მარცხნიდან მარჯვნივ: მაია, ხათუნა და სოსო ონიკაშვილები.

ლამაზი, მთვარიანი ღამე იყო. მთვარე ზედ შემოდგომოდა ქურთისტანის მთებს და მთელ ფერეიდანს ანათებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ფერეიდნელს თან ჰქონდა თითო მაშხალა და მხოლოდ სტუმრების გამოჩენას ელოდნენ. როცა ირიჟრაჟა, შორს გზაკლაკნილზე ორი მანქანა გამოჩნდა და ვიღაცამ დაიძახა: მოდიანო. იხუვლა ხალხმა. ერთბაშად აენთო უამრავი ჩირაღდანი და მიდამოც ცეცხლის ტყეში ჩაიკარგა.

ხალხი ყვირილით გარბოდა მანქანებისაკენ. ვინ ბილიკზე გარბოდა და ვინ კიდევ გზა-შარაზე. მანქანებმაც სიგნალი მისცეს; ისინი მოჰქროდნენ.

და დიდი დუმილის შემდეგ გალღვა მდუმარების ყინული, ფერეიდანის მიწაზე გამოჩნდნენ დიდი საქართველოს პირველი ელჩები. ამ ელჩობას ცნობილი კინოდოკუმენტალისტი ნ. კანდელაკი ხელმძღვანელობდა.

ბევრი ცრემლი დაიღვარა მაშინ. ბევრი ნაღვლიანი და თბილი სიტყვა ითქვა, მაგრამ უფრო მეტი ცრემლი მაშინ დაიქცა, როცა კანდელაკის გადაღებულმა სურათმა მთელი საქართველო მოიარა. ქართველ კაცს პირველად მან მოუტანა ასე ახლოს სამშობლოდან გარეკილ ქართველთა მიწა — ფერეიდანი.

## რეზო მიქელაძის მოგონება

დავიბადე 1942 წელს, სწორედ მაშინ, თეირანში იოსებ ბესარიონის ძე სტალინი რომ ჩამოვიდა. გაგანია ომი იყო და მამა ჯარში იმყოფებოდა. იმჟამად სწორედ თეირანში იყო მამა და პირადად დაუნახავს ირანს ჩამოსული დიდი ქართველი.

ზედა მარტყოფში ვცხოვრობდით. სამსართულიანი სახლი გვედგა. პირველი სართული მიწური იყო და იქ საქონელი გვყავდა. მეორე სართულზე ვსაუზმობდით, ვსადილობდით, სტუმარს ვიღებდით და ნაწილს აქვე გვეძინა. მესამე სართულზეც ვიძინებდით ხოლმე. დიდი ოჯახი გვქონდა: ბაბუა ალი, თეთრად გადაპენტილი თმითა და წვერ-ულვაშით, ბებია ზობეიდა, მამიდები: ჯანათა, ხანუმ ქუჩიკა, ჰაჯბიბი და ბოლოს სოლთანა, ერთი ბიძა და დანარჩენი წვრილფეხობა.



ყველამ კარგად იცოდა თავისი საქმე და დილიდან საღამომდე ჯარასავით ვტრიალებდით. სამუშაოს გამნაწილებელი და შემფასებელი პაპა ალი იყო.

ძალიან მიყვარდა პაპა ალი და ბებო ზობეიდა. ზობეიდა ბებოს კაბის ჯიბეები ყოველთვის დაძეძგილი ჰქონდა ნუშითა და კაკლით, ლეღვის ჩირითა და სხვა ათასი ყელის ჩასაკოკლოზინებელი ტკბილეულით. ჩვეულებრივი ქართველი ბებო იყო. ისეთივე, როგორიც მრავლადაა ჩვენს დალოცვილ გურჯისტანში.

ბაბუა ალი ნაღვლიანი, დაფიქრებული კაცი გახლდათ. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ როცა ლაპარაკობდა, სულ ჭკვიანურს ამბობდა.

ერთხელ დილით, ნამაზს რომ მორჩა, პაპა ალიმ მკითხა: ცხვარი საით უნდა გარეკოო. ვუთხარი, შავგორაზემეთქი. ხმა არ გაუღია, მხოლოდ თავი დამიქნია. მე და ჩემმა ტოლებმა ცხვარი მართლაც გამოვფინეთ და შავგორისაკენ გავირეკეთ. ათიოდე ბიჭი ვიყავით და გზას რომ დავადექით, მთელი მარტყოფი ხმაურით ავიკელით. მერე შავგორის ფერდობებს შევყევით და ცხვარიც საძოვარზე გავშალეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ვხედავ, ბილიკზე პაპა ალი მოდის. დინჯად მოაბიჯებს და გრძელ ყალიონს აბოლებს. ახლოს რომ მოვიდა, დადგა და მკაცრად ჩაგვათვალიერა. რას აკეთებთო, გვკითხა. ერთმა უთხრა, ცხვარს ვუყურებთო. ცხვარს თქვენი ყურება რად უნდა, თავისი საქმე თავათ უკეთ იცისო, — თქვა პაპამ, მერე დაჯდა. იმ კლდეს თუ ხედავთო? გავიხედეთ და ხეობის გაღმა რომ კლდე იყო, იმას შევავლეთ თვალი.

იმ კლდეში გამოქვაბულებს უყურებთო?

თავი დავუქნიეთ.

პაპამ ახლა ისა გვკითხა: იქ გარეულ მტრედებს თუ ამჩნევთო?

ჩვენ კვლავ თავი დავუქნიეთ.

ჰოდა ის მტრედები, ჩვენ რომ შაჰ-აბასმა გურჯისტანიდან გამოგვრეკა, მაშინ თან გამოგვყვნენო. მთელი გზა მოგვდევდნენ და მოგვდევდნენო. აჰა, ფერეიდნამდე მოგვაცილეს და აქ დასახლდნენო.

მერე პაპამ გვიამბო, რომ ჩვენი ნამდვილი სამშობლო აქედან ძალიან შორს იყო. რომ იქ, დიდ საქართველოში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. ცხოვრობდა ბევრი გურჯი და ქვეყანა იყო ლამაზი და მშვენიერი.

საღამოს ნამაზის შემდეგ პაპა ალის ახლოს დავუჯექი. გვიან ღამემდე ვიჯექი მის გვერდით და ვუსმენდი მის ნაღვლიან ხმას.

სამნახევარი საუკუნეა, რაც რომ ჩვენ მოვწყდით საქართველოს. ირანელებმა აქ დაგვაყენეს მათი საზღვრების დარაჯად. ბევრი ქართველი შეეწირა ირანის საქმეს. აქედან ჩვენ ირანისაკენ ცოცხალი მტერი არ გაგვიშვია. ავღანისტანის ხანმა მირვეისმა აჯანყება რომ მოაწყო, შაჰის ტახტი შეაზანზარა. აჯანყებულმა ავღანელებმა მოსპეს ირანის ჯარი, რომელსაც ქართველები ედგნენ სათავეში. სამხედრო სასწავლებლიდან ორასი ყმაწვილი გამორეკეს, მათ შორის ბევრი ქართველი, და მოედანზე აკუწეს, შემდეგ ისპაჰანიც აიღეს და ფერეიდნისაკენ დაიძრნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად. ფერეიდნელებმა მოსასვლელებთან სანგრები გათხარეს და მტერს ვაჟკაცურად დახვდნენ. ვერა და ვერ იქნა, ავღანელებმა ფერეიდანი ვერ აიღეს და იძულებული გახდნენ პირშიჩალაგამოვლებულები უკან გაბრუნებულიყვნენ. მის შემდეგაც ბევრმა სცადა ჩვენი დაჩაგვრა, მაგრამ ამაოდ, ხმალი ფერეიდნელისა მუდამ მზად იყო მტრის დასახვედრად.

ავღანელების წახდენის გამო ნადირ-შაჰმა ფერეიდნე-

ლები ბეგარისაგან გაგვათავისუფლა და ირანელებს აბაზის სალირალსაც აღარ ვუხდით.
ფერეიდნიდან ირანს ბევრი პოეტი, აშუღი და მხატვარი შეეძინა.

მას შემდეგ ცხვარი შავგორაზე გვეყოლებოდა თუ სასახლეების ველზე, რუისპირზე თუ თათაშვილის გორაზე, ბალღებმა ვიცოდით, რომ პაპა ალი უეჭველად მოგვაკითხავდა. ველოდით, ველოდით და როცა გამოჩნდებოდა, მაშინვე მის ირგვლივ შევჯუჩდებოდით.
„იყო ერთი ჩიტი, ძალიან ლამაზი ჩიტი. ის ერთ დღეს მოფრინდა ზემო მარტყოფში და მოედანზე რომ ვარდისფერი ქვა დევს, იმაზე დაჯდა.
— მარტყოფელებო, — თქვა ჩიტმა. — მე თქვენ ბარათი მოგიტანეთ გურჯისტანიდან. აჰა, გამომართვით და ჩაიკითხეთ.
ჩიტმა ბარათი ქვაზე დადო.
ბარათი ჯერ ერთმა მარტყოფელმა აიღო და დახედა, მერე მეორეს გადახედა და ბარათიც გადააწოდა, შემდეგ ბარათი მესამემ ჩამოართვა, მეოთხემ, მეხუთემ, მაგრამ ვერც ერთმა იმ ბარათისა ვერ გაიგო რა...
ბოლოს ერთი გადმოდგა წინ და ჩიტს მიმართა:
— დიდებულო ჩიტო, შენ კარგი საქმე გაგვიკეთე, ეს ბარათი რომ მოგვიტანე, მაგრამ ჩვენ ხომ ქართული კითხვა, რა ხანია, დაგვავიწყდა...
— ისწავლეთო და ამ ბარათსაც მაშინ წაიკითხავთო. — თქვა ჩიტმა და გაფრინდა“.
პაპამ ბავშვებს ხელი მოგვხვია.
— გაიგეთ, რა თქვა იმ ჩიტმა? ქართული კითხვა ისწავლეთო...
იმ დღიდან მოკიდებული ვეძებდით ქართულ ანბანს. ვეძებდით გაშლილ მინდორზე და ლამაზ, ბუნდოვან ოცნებაში. ვეძებდით მორაკრაკე ნაკადულებთან და ძველთაძველ სამალავებში.
და მივაკვლიეთ, იგი მოვიდა ფერეიდანში. ლამაზი ქართული ანბანი შემობრძანდა ფერეიდანში. ონავარი ბიჭები და გოგონები მთელი დღე მზის გულზე ვიდექით და წვეტიანი ჯოხებით პირდაპირ მიწაზე ქართულად ვწერდით: „მე გურჯი ვარ“, „გურჯისტანი დიდია“, „მე წავალ სამშობლოში“, „მელოდე, გურჯისტანო“.
წერდნენ ზედა და ქვედა მარტყოფელები, სიღნაღელები, ჩუღურეთელები, მთელი ფერეიდანი წერდა ყველაზე სანუკვარ სიტყვებს — „ქართველი ვარ“.
ერთხელ მეზობლის ბიჭმა ტრანზისტორით თბილისი დაიჭირა, ქართველი კაცი ლაპარაკობდა, — ტკბილი ქართულით.
მთელი სოფელი ფუტკრის ნაყარივით მოედანზე გამოეფინა. წითელ ქვაზე იმ ზღაპრული ლამაზი ჩიტივით პატარა ტრანზისტორი იდო. მის ირგვლივ კი მთელი ფერეიდანი ბორგავდა. თბილისი რასაც გადმოსცემდა, მხოლოდ იმათ თუ ესმოდათ, რომლებიც სულ წინ იდგნენ, მაგრამ დანარჩენებსაც ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს და ყველაფერს არა მარტო ისმენდნენ, ხედავდნენ კიდევაც.
მერე წამოვიზარდე და ისპაჰანს წაველი სასწავლებლად. თორმეტწლიან სკოლაში ვსწავლობდი. ჩემს ჯგუფში სულ სპარსელები იყვნენ. მე ვიყავი მარტო გურჯი.
ერთხელ ერთმა მოსწავლემ მკითხა, ხომ ირანელი ხარო. არა-მეთქი.
— რაო?! — გაიოცა იმ მოსწავლემ.
— გურჯი ვარ-მეთქი.
— გურჯები ვინ არიანო.




ძმები ქურეშა და ქუშანა მიქელაძეები თბილისის 22-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელთან ერთად.

მე მას ვუამბე ქართველების შესახებ ყველაფერი, რაც პაპა ალისაგან ვიცოდი.
ამის შემდეგ მთელი ჯგუფი ამრეზით მიყურებდა.
ერთხელ კიდევ ქუჩაში ჩვენსოფლელი იუსუფა სეფიაშვილი შემხვდა. მივესალმე მოხუცს და გავაჩერე.
— შენ რომლისა ხარო? — მკითხა.
პაპა ალი რომ ვუხსენე, სახე შეიჭმუხნა და მითხრა:
— ერთხელ პაპაშენი მამულს ყიდდა. ვიცოდი ეს და სპარსელი მუშტარი მივუყვანე. გამომეკიდა და კუდით ქვა მასროლინა; ქართველი კაცის ოფლით გაპოხილ მიწას თათარს როგორ მივყიდიო.
კერპი პაპა გყავსო, მითხრა, ჩაიქირქილა და წავიდა.
მალე წამოვიჩიტე და ულვაშებიც დავიმშვენე. ისპაჰანელ გოგოებს ზედაც არ ვუყურებდი, თვალი ფერეიდნისაკენ მეჭირა და სწავლას რომ მოვრჩი, მარზია შევირთე, ჩემსავით ქართველი და ჩემსავით ფერეიდნის შვილი. იმ წელს ფერეიდანში მასწავლებლად დამნიშნეს. მიხაროდა, რომ ეს საქმე მომანდეს. შევუდექი მუშაობას და სხვა საგნებთან ერთად ბავშვებს ქართულ ანბანსაც ვასწავლიდი. ვასწავლიდი და მეც ვსწავლობდი. ჩვენ ყველანი ერთად ვსწავლობდით.
ერთხელ დილით მარზიას ვუთხარი:
— იცი, წუხელ გურჯისტანში ვიყავი.
მარზიას არ გაჰკვირვებია, შემომხედა, კარგად დამაკვირდა, მაგრამ არაფერი უკითხავს.
მე გავოცდი.
— რატომ არაფერს მეკითხები?
— აბა, რა გკითხო, ღამით ხანდახან მეც დავდივარ ხოლმე გურჯისტანში. ერთხელ რომ გამომეღვიძა, იმდენი ვიტირე, ბალიშის პირი სულ დავასველე.
მერე ჩემი სიზმრები მეზობლებს ვუამბე. არც მათ გაჰკვირვებიათ: ღამღამობით ჩვენ ყველანი დავდივართ გურჯისტანშიო. იქ გვძინავსო, მხოლოდ სისხამზე მოვდივართ ირანშიო.
და მერე შეიქმნა ქაღალდების შრიალი.
ვინ აღარ წერდა... მიდიოდა თხოვნა შაჰის სახელზე,

საბჭოთა მთავრობის მისამართით... ფერეიდნიდან წასული წერილები კურიერებს გაჰქონდათ მოსკოვში და თეირანში, თბილისში. ყველა წერილში ერთი რამ ეწერა: — „ოთხასი წელია ველით სამშობლოში დაბრუნებას. დაგვრთეთ ნება, ვიცხოვროთ იქ, საიდანაც უსამართლობამ აქ მოგვრეკა“.

რომ უფრო ახლოს მივყოლოდი საქმეს, გადავწყვიტე საცხოვრებლად თეირანში გადავსულიყავი. როცა ეს აზრი მარზიას ვუთხარი, გაიხარა. ავიყარეთ გუდა-ნაბადი, დავადექით იმ დიდი გზის ნაწილს, ამ ოთხი საუკუნის წინ ჩემმა წინაპრებმა რომ გამოიარეს ტანჯვით, ცრემლითა და დაგვით. მოველ სრულიად უცნობ ქალაქში. ქირის დღისათვის გადადებული ცოტაოდენი ფული მქონდა და ოთახი დავიქირავე. ავად იყო თუ კარგად, მოვეწყეთ.

თეირანში თითო-ოროლა ჩვენებური ქართველიც ცხოვრობდა. ავედევნე მათ გზას და მალე ჩემი პროფესიის მიხედვით სამსახურიც ვიშოვნე. მაგრამ მთავარი მიზანი სხვა იყო, როგორმე უნდა მიმეღო სამშობლოში დაბრუნების ვიზა.

რამდენჯერმე ვიყავი საბჭოთა საელჩოში. ძალიან კარგად მიმიღეს. როცა ფერეიდნელთა ამბებს ვყვებოდი. ვხედავდი, როგორ უნაღვლიანდებოდათ სახე საელჩოს მუშაკებს.

დრო მიდიოდა... ვიზა კი არ ჩანდა.

და, აი, ბოლოს დამიძახეს. კარგად ისიც კი არ ვიცოდი, თუ რისთვის დამიძახეს და მარზიასათვის არაფერი მითქვამს.

საბჭოთა პასპორტი რომ მომცეს, სიხარულისაგან ვიტირე.

პასპორტი ჯიბეში ჩავიდე და შინისაკენ გავეშურე. ისე გავრბოდი, რომ ოფლად გავილვარე. სველი ტანსაცმელი ტანზე შემომეტმასნა, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა. ქოშინი ამივარდა, მაინც გავრბოდი. მალე ჩვენი სახლიც გამოჩნდა. მარზია აივანზე დგას და ხელში პატარა ზურაბი უკავია. ბავშვს თოთო ხელები ყელზე შემოუხვევია დედისათვის და კოხტა თავი ლოყაზე მიუდვია.

— მარზია! — ვყვირი შორიდან.

მარზიამდე ხმა არ აღწევს, მაგრამ ჩემი ცოლი ხვდება, რომ რაღაც მოხდა. რაღაც ისეთი რამ მოხდა, დიდ რამეს რომ უნდა ნიშნავდეს.

ნელა ჩამოდის კიბეებზე და სანამ ყველაფერს გაიგებდეს, არ იცის, რა გააკეთოს. თმები გაიშალოს და გოდებას შეუდგეს, თუ სულ იცინოს და იცინოს...

— მარზია!

ამას უკვე ეზოში ვყვირი და მარზიას ახლა უკვე ესმის ჩემი, შეშინებული მიყურებს, ზურიკო ლამისაა ხელიდან გაუვარდეს.

— მარზია, მე დღეიდან რეზო მიქელაძე ვარ.

— განა აქამდე ვინ იყავი? — შემკრთალი მომჩერებია მარზია.

— არა, აქამდე რეზა მიქელანი ვიყავი. დღეიდან კი რეზო მიქელაძე ვარ.

მარზია ყველაფერს ხვდება.

— მაშ, ვიზა მოვიდა? მე ვინა ვარ?

— შენ ჩემი მეუღლე მარზია მიქელაძე ხარ, ქართველი ქალი.

— მაშ, მივდივართ, არა?

მარზიამ ხელი მომხვია.

— ჰო, მივდივართ.

ვგრძნობ, რომ გულისჯიბეში ის ნამცეცა მიწა ამოძრავდა, მამამ რომ დამიტოვა სიკვდილის წინ.

ვინ იცის, ვინ მოიტანა ფერეიდანში ეს ქართული მიწა. საუკუნეების განმავლობაში წინაპრებმა ჯიბით ატარეს. ახლა შეინძრა ეს ერთი კვანჩხი მიწა. მასაც მოსწყინდა სხვის ქვეყანაში გაუთავებელი ხეტიალი. მასაც მოსწყურდა, კვლავ დაბრუნდეს გურჯისტანში და ნამდვილ ქართულ მიწას შეერიოს, საიდანაც იმ ოთხიოდე საუკუნის წინ ძალით მოგლიჯეს.

•

არაქსის ნაპირას ერთი მაღალი, მოსული ქართველი იდგა. რახანია ხანების, ბეგლარბეგების, ერთთუღიანი, ორთუღიანი და სამთუღიანი ფაშების, სულთანების დრო წასულიყო. მათი ხმლები და შუბები, ოქრომჭედით გაწყობილი მოსასხამები მუზეუმებში ეკიდა, ცოდვით ყელთამდე სავსე გვამები კი, რა ხანია, მიწას გამოეხრა... იდგა მეოცე საუკუნე, სამოცდაათიანი წლების დასაწყისი.

არაქსს აქეთ სასაზღვრო ბოძზე ეწერა „სსრკ“. არაქსს იქით „თურქეთი“ და „ირანი“.

მატარებელი მდინარეზე რომ გადმოვიდა და ჯულფას შემოაკივლა, მატარებლის მწვანე ვაგონიდან სამშობლოში დაბრუნებული პირველი ფერეიდნელი ჩამოვიდა.

— გამარჯობა! — უთხრა დამხვდურმა და ხელი ჩამოართვა. — ოთხასი წელია აქა ვდგევარ და შენ გელოდები, ძმაო, რატომ დაგაგვიანდა?

ფერეიდნელმა გაღიმება სცადა:

— ძმაო, კიდევ შორსაა საქართველო, ჩვენი სახლი?..

ბოლოთქმა

1971 წლის დასაწყისში სათავე გაეჭრა დიდ ეროვნულ საქმეს—დაიწყო ფერეიდნელთა დაბრუნება სამშობლოში. ისტორიის უდიდესი უსამართლობის გამოსწორება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მოხერხდა. ვერც ერთმა დრომ და ეპოქამ ვერ უმკურნალა ამ საქმეს, მხოლოდ ჩვენს დროში გამოიძებნა საშუალებები ფერეიდნამდე ახალი, დიდი ხიდის გასადებად.

და უკვე დაბრუნდა სამშობლოში ოცდაოთხი ფერეიდნული ოჯახი. ისინი დაუბრუნდნენ მშობლიურ კახეთს, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებს. სოფელ ჩუმლაყში, შაშიანში, ჭანდარში, დაბა საგარეჯოში როცა ჩაივლით და ახლადაშენებულ ლამაზ ორსართულიან სახლებს შენიშნავთ, იცოდეთ, რომ ეს კარ-მიდამო თქვენს ფერეიდნელ დებსა და ძმებს ეკუთვნით.

როგორც ვთქვით, უკვე ექვსი წელი გავიდა, რაც მათ სამშობლოში დაბრუნება დაიწყეს. ექვსი წელი არც ისე პატარა დრო ყოფილა. ამ დროის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა ირანიდან დაბრუნებულ ქართველთა ცხოვრებაში. ზოგმა უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა საქართველოში და ახლა უმაღლესი სასწავლებლის მერხს უზის, უნივერსიტეტში, სამედიცინო ინსტიტუტში, ანდა კიდევ სხვა ინსტიტუტებში სწავლობს. თავად რეზო მიქელაძემ გასულ წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ისიც უნდა ვთქვათ, რეზო არა მარტო სტუდენტი იყო ამ ფაკულტეტისა, არამედ სპარსული ენის მასწავლებელიც. ორ საქმეს ერთად აკეთებდა, თან ასწავლიდა, თან სწავლობდა.

ალბათ ეს ენერგიული, ჭკვიანი და დიდი პატრიოტი ფერეიდნელი ქართველი არ გამიჯავრდება, თუ ზოგ მის მომავალ მიზანს გავამხელ. რეზო მიქელაძეს სურს მე-

დასასრული 30-ე გვერდზე

პიონერული აქტივის კლუბის მისამართით ხშირად ვღებულობთ პიონერული აქტივის, რიგითი პიონერების, პიონერხელმძღვანელების წერილებს. ამჯერად სამი წერილის შინაარსს გაგაცნობთ.

„პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას თავიდანვე ვადევნებ თვალს, — გვწერს ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლის მოსწავლე ირა კილასონია, — ერთხელ გამოვეხმაურე კიდეც და ჩემი წერილი დაიბეჭდა ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში. კლუბის მიერ პიონერული აქტივისათვის მიცემულ შეკითხვებს ვუპასუხე. ამ დღიდან ჩვენი სოფლის სკოლის ფოსტა მეგობრების წერილებით აივსო, ბარათები მივიღე ჩოხატაურის რაიონიდან ქეთინო ბერიაშვილისაგან, გეგეჭკორიდან მაგული სართანიასაგან, სამტრედიიდან მარინე კიწმარაშვილისაგან, აზერბაიჯანის სსრ სოფელ კახიდან ირა მაჯიშვილისაგან და კიდევ ბევრისაგან. ისინი მწერდნენ თავიანთი სკოლის, რაზმეულისა და რაზმის ამბებს. მე, ქეთინომ და მარინემ ერთმანეთთან შეხვედრაც მოვახერხეთ.

„კოცონმა“ მრავალი მეგობარი შემძინა. მათ მიერ გამოგზავნილი ბარათებიდან მარტო მე კი არა, ჩემი რაზმეულის საბჭოც იგებს, თუ როგორ წარიმართა მათს სკოლაში საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილი „სწორება კომუნისტებზე“, როგორ მუშაობს რაზმეულთან შექმნილი პიონერული აქტივის კლუბი, რა მოსწონთ ბავშვებს სხვა სკოლების რაზმეულებისა თუ რაზმის აქტივის მუშაობის გამოცდილებიდან და ა. შ“.

მეორე წერილმა ქვაციხელთა გულისტკივილი გვამცნო. წერილის ხელმოწერა ასეთია: „ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხის სკოლის IV-V-VI-VII-VIII კლასის მოსწავლეები“ (უმჯობესი იყო, ქვაციხელებს ჰყოფნოდათ გამბედაობა და გვარი და სახელიც მოეწერათ).

აი, რა ეწერა ამ წერილში:

„შეკრებაზე რაზმის საბჭოს წევრები და თავმჯდომარეები უნდა აგვერჩია. მოხდა ისე, რომ ყველა ის აირჩიეს, ვინც კარგად სწავლობდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ისინი, ვისაც სწავლა სურს, მაგრამ არ შეუძლია? ასეთი პიონერებიც ხომ უნდა იყვნენ არჩეულნი? პატივცემულო რედაქციავ, ჩვენთვის ეს საკითხი მეტად გაუგებარი დარჩა. ვინ ტყუის? რაზმი, პიონერხელმძღვანელი თუ პიონერები? ასეთი შემთხვევაც გვქონდა: შარშან რგოლის ხელმძღვანელად საშუალო აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლე ავირჩიეთ, ამ დიდმა ნდობამ მასზე კარგად იმოქმედა — უფრო მეტი სტიმული მიეცა ესწავლა, შეესრულებინა რაზმეულის




# ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო!

საბჭოს დავალებები. აქტიურად ჩაება პიონერულ საქმიანობაში, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საზოგადოებრივ დავალებას, სწავლასაც უმატა. წლევანდელ შეკრებაზე კი ყველაფერი შეცვალეს. რატომ ხდება ასე?“

ასეთი შინაარსის წერილები სხვებისგანაც მივიღეთ, მართალია, ყველა, ვინც ავირჩიეთ, კარგად სწავლობს, წესიერია, მაგრამ პიონერული საქმიანობა არ იტაცებთ, არც ფანტაზია აქვთ, რომ რაიმე მოიფიქრონ, რასაც ხელმძღვანელი იტყვის, იმას აკეთებენო.

ბავშვებო, მოდით, მოგვწერეთ, თქვენთანაც ხომ არ დარღვეულა პიონერული აქტივის არჩევნების წესები? საჭიროა თუ არა არჩევნების დროს ყოველთვის დავუჯეროთ უფროსებს? თქვენ მიერ არჩეული რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები ყოველთვის ამართლებენ თუ არა თქვენს ნდობას? როგორ გრძნობს თავს პიონერი თავის რაზმში? როგორია მისი დამოკიდებულება პიონერული კოლექტივისადმი? ან თუნდაც შენ, რგოლის ხელმძღვანელო, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარევ, იმ დავალებიდან, რაც შენ ამ უკანასკნელ დროს მიიღე, რომელი მოგეწონა? შენი სკოლის რომელ რაზმშია საქმიანობა ისე აწყობილი, რომ ის ყველა პიონერს მოსწონდეს? როგორ მოემზადა შენი რაზმეულის პიონერული აქტივი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის შესახვედრად? როგორია რაზმეულის გეგმა, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი? ცხოვრობს თუ არა პიონერული აქტივი პიონერთა კანონების მიხედვით?

„კოცონი“ ელის ამ საკითხებზე თქვენს პასუხებს.

აი, მესამე წერილიც. მისი ავტორია რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე მაია ქუფარაშვილი.

„ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენი სკოლის დირექტორმა დ. ჩაგანავამ წერილი გადმომცა. კონვერტზე დიდი ასოებით ეწერა: მოსკოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი. წერილს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ალევტინა ფედულოვა მწერდა. მე ის „არტეკში“ გავიცანი პიონერთა მე-7 საკავშირო შეკრებაზე და სისტემატური მიწერ-მოწერა მაქვს მასთან. ვატყობინებ მეტალურგთა ქალაქის პიონერების სასახელო საქმეებს, ვწერ მეგობრობაზე ჩვენს მამებთან — საამაყო თაოსნობის მოთავე მეტალურგებთან. როცა შევატყობინე, რომ „პიონერის“ ფურცლებზე გაიხსნა პიონერული კლუბი „კოცონი“ და რომ მე ამ კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ვარ, მომიწონა და შემახსენა, საკავშირო შეკრების მიერ მოცემულ განაწესშიც ასეა მითითებული, შინმობრუნებული ყოველი არტეკელი ყოველთვის და მუდამ ცდილობდეს მშობლიურ სკოლაში, სოფელში, ქალაქში, რესპუბლიკაში სასახელო პიონერული საქმეები ამრავლოსო.

ძვირფასო რედაქციავ! მე უკვე კომკავშირელი ვარ. მაგრამ რაზმეულის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, კვლავაც ჩემს უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია პიონერულ აქტივთან მუშაობა, მისი დახმარება.

ალევტინა ფედულოვა მწერს, მსჯელობის საგნად გავხადო და პასუხი გავცე კითხვებზე: გვყავს თუ არა სკოლაში წარმოებიდან მოსული რაზმის ხელმძღვანელები, თუ გვყავს, ვინ არიან ისინი, რაზე მუშაობენ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში, ჩაბმულნი არიან



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

თუ არა კომკავშირულ საქმიანობაში, ხშირად თუ დადიან სკოლაში, რას აკეთებენ, რა მუშაობას ატარებენ აქ და ა. შ.

შემდეგი კითხვა ასეთი იყო: თვალს ადევნებენ თუ არა ჩემი ქალაქის პიონერები, პიონერული აქტივისტები საკავშირო ტელევიზიის გადაცემას „ოტზოვიტეს გორნისტი“, რა მოსწონთ და რა არა, რა უნდათ, რომ ნახონ. ამხანაგი ფედულოვა მირჩევდა, ჩემი სკოლის პიონერულ აქტივს მსჯელობის საგნად გაეხადა ეს კითხვები“.

პიონერების მიმართ შეკითხვები მექნება:

1. მუშაობენ თუ არა შენს რაზმეულში წარმოებიდან მოსული რაზმის ხელმძღვანელები? ვინ არიან ისინი? როგორ წარმართავენ მუშაობას თავიანთ რაზმებში?

2. როგორ უძღვება შენი სკოლის პიონერული აქტივი საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის—„სწორება კომუნისტებზე!“ — მოთხოვნებს? რა გაკეთდა გადაძახილის მეორე ეტაპზე? რა და რა საინტერესო პიონერული საქმეებით და წამოწყებებით აღინიშნავს შენი რაზმი და რაზმეული გადაძახილს? ვრცლად და დაწვრილებით აგვიწერე ყველა ის საინტერესო ამბავი, რომელიც სკოლაში რაზმეულის გადაძახილის მატიანეს დაამშვენებს.

3. ვინ არის შენს რაზმეულში პრინციპულობით, პიონერული დავალებებისადმი დიდი პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმითა და თაოსნობით გამორჩეული პიონერი? წერილში აგვიწერე პიონერთა კოლექტივის ასეთი მეთაურის ყველა კარგი თვისება, ყველა ის საქმე, რომელსაც იგი უძღვება.

პიონერული აქტივის კლუბი „კოცონი“ სისტემატურად იღებს მკითხველთა წერილებს. ბავშვებო, კვლავაც ველით თქვენს ბარათებს. კარგად გაიაზრეთ და ისე გვიპასუხეთ თქვენი თანატოლების მიერ დასმულ შეკითხვებზე. წერილებს „კოცონის“ მორიგ შეკრებაზე გამოვაქვეყნებთ.

მაშ ასე, ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო!

კონვერტზე დააწერეთ მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია. პიონერული აქტივის კლუბის — „კოცონის“ ფოსტას.

ნ. ფაილოძე.





# მეცხვარის ბოხოხი

ზაქარია შერაზადიშვილი

მხატვარი
გ. ფოცხიშვილი

თქმულება

## მწყემსი

არის ვინმე მეცხვარე,
მწყემსავს სოფლის ფარას,
ცხვარი მისი მომრავლდა,
ფერდობს თეთრად ფარავს.

თან ახლავან მუდმივად
სახედარი, ცხენი,
ჰყავს ქოფაკი, მგელთან და
ქურდთან შეურცხვენი.

ტანზე ჩოხა აცვია,
იმედი აქვს ნაბდის,
არავითარ თავსხმაში
წვიმა რომ არ გასდის.

შეჩვევია ბანდულებს,
ჩაფენილებს თომით,
შიგ ვერ ატანს ვერც სიცხე,
ვერც ყინვა და თოვლი.

აქვს ერთგული კომბალი,
ხანჯალი და თოფი,
გუდის ცალი კუნჭული
საგზლისათვის ჰყოფნის.

თავს ბოხოხი უმშვენებს —
მთლად ახალი ქუდი,
ქუდს საწყალი დედა ცხვრის
სუნი ისევ უდის.

ბეწვი ისე ერხევა,
თითქოს უცემს მკერდი...
ქუდი... ბატკნის შობაზე
დაღუპული დედის!..

## ძილში მოხდილი ბოხოხი

მწყემსი, ღამის ნაფხიზლი,
მიწვა წიფლის ძირას.
დგას წიფელი ფერდობში,
კაცს მის გვერდით სძინავს;

სძინავს ძაღლის იმედით,
უძილარს და დაღლილს
და მთელ ფარას დარაჯობს
აზრიანი ძაღლი.

მწყემსს ძილშიც არ ასვენებს
ფიქრი მგლის და ქურდის,
აჰა, მხარი იცვალა,
მოეხადა ქუდი.

მოეხადა ქუდიო? —
გაიკვირვა ძაღლმა,
თვალი ჭყიტეს ჯირკებმაც
გამოღმა თუ გაღმა.

ცხენმა არც კი შეხედა,
როგორც „წვრილმან“ საქმეს,
ძოვს და ლამაზ თავ-კისერს,
ზოგჯერ კუდსაც აქნევს.

სადაც იდო კომბალი,
ძევს უძრავად იქვე,
დგას ადგილზე წიფელი,
ძლივს კენწეროს იქნევს.

სალამურს კი უბეში
მწყემსზე მაგრად სძინავს,
თოფი, მკერდზე მიკრული,
ორი ლულით ბრწყინავს.

## ბოსოხის დაგორება

თავსმოხდილი ბოსოხი
თვით დაეშვა დაღმა,
— დაგორდაო? — სასტიკად
შეიცხადა ძაღლმა.

აბა, სხვა გზა სად იყო,
ადგილს მოსწყდა ძაღლი,
ისე, თითქოს ნაღმსატყორცნს
გაეტყორცნოს ნაღმი.

ქუდს მისდევს და მიფრინავს,
ძაღლი ისარს მოჰგავს,
ქუდმა: — ძაღლი მომდევსო! —
დაემსგავსა გორგალს.



რაღაც ძალა ძლიერი
ქუდს სისწრაფეს ჰმატებს,
ფლატესაკენ მიილტვის,
აი, ესეც ფლატე!

ფრთებაწურულ გედივით
გადაეშვა დაბლა.
შედგა ძაღლი, თითქოსდა
დასცემოდეს დამბლა...



## ფლატეში დაგორება

ძაღლმა შორი ბილიკით
მოუარა ფლატეს,
თავს წაადგა თეთრ ბატკანს, —
თოვლის ნამდვილ ფანტელს.

როგორც საფენ-სახვევი,
მკერდზე ადევს ქუდი,
იცნო ძაღლმა ბატკანი,
ძირს დაუშვა კუდი.

როდის გადმოჩეხილა?
ტანი სიცხით უხურს,
ძაღლმა თავი ასწია,
მოჰყვა ყეფას, ბუხუნს.

გონს მოეგო ბატკანი,
სადაც მკერდი ეწვის,
იქ, იქ ეალერსება
ქუდის ყველა ბეწვი.

იცნო დედის ქურქისგან
შეკერილი ქუდი,
დედის სითბო მოჰგვარა,
დედის სუნი უდის.

დედის მადლმა ტკივილი
დაუამა ბატკანს
და გარშემო ჰაერიც
ძუძუსავით დატკბა...

## ატატება

საგანგაშო, სანიშნო
რომ ჩაესმა ყეფა,
წამოიჭრა მეცხვარე,
მოისინჯა კეფა.



ხევში გაჩნდა, ფლატეზე
დამტვრეულა, ხედავს, —
ის ობოლი ბატკანი,
რომ აღარ ჰყავს დედა.

აიტატა მეცხვარემ,
დაუბრუნა ფარას...
დედის მადლი თან დასდევს,
ყველას ყველგან ფარავს!..



ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 2

## კაცური კაცის სიტყვა

„პიონერის" საახალწლო ნომერში წავიკითხე წერილი „სიტყვა და საქმე", წავიკითხე და უცებ სურვილი გამიჩნდა, გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

მე ცხოვრების გრძელი გზა გავიარე, სიტყვის კაციც ბევრი მინახავს და უსიტყვოდ გაკეთებული საქმეც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორი შემთხვევა მინდა გავიხსენო.

პირველი ამბავი ომისდროინდელია. 1941 წლის ივლისი იდგა. ომის დასაწყისში ფაშისტები რაოდენობითა და იარაღით გვჯობნიდნენ და ჩვენი ჯარები დროებით უკან იხევდნენ. მაგრამ ამ უკანდახევას მტერს ძვირად ვუსვამდით, უბრძოლველად ერთ გოჯ მიწასაც კი არ ვუთმობდით. ის კი არა, ზოგჯერ გუშინდელ დანაკარგს ვერ ველეოდით, ძალ-ღონეს მოვიკრებდით და უკანვე წავართმევდით, კბილითა და ფრჩხილით წავგლეჯდით ხოლმე.

ასე მოხდა ორმოცდაერთის ივლისშიც. წინადღით ერთი პატარა, მომაღლო ბორცვებზე გაშენებული უკრაინული სოფელი დავტოვეთ, ბრძოლით დავიხიეთ უკან. სოფლელთაგან ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ჩვენ გამოგვყვა, დანარჩენები კი ტყეს შეეფარნენ. განთიადისას ასეულში პოლკის უფროსი მოვიდა. რევოლუციის ვეტერანი იყო, ჭარმაგი, მაღალი კაცი. მამაშვილურად განგვიმარტა, რომ იმ სოფლის დაკარგვით ჩვენს მეზობელ ქვეგანაყოფს თურმე გარემოცვის საფრთხე შექმნია და თუ იმ სოფელს უკან არ დავიბრუნებთ, თანაც თუ საღამომდე ვერ შევინარჩუნებთ, ჩვენი მეზობლები ყულფს თავს ვერ დააღწევენ. ყველაზე უფრო გულს ის მოხვდა, რომ ხნიერი პოლკოვნიკი კი არ გვიბრძანებდა, არამედ თითქოს გვთხოვდა — იცოდა, რა ძნელ საქმესაც გვაკისრებდა ამ დაღლილ-დაქანცულ, უძინარ, განაწამებ მებრძოლებს.

— რას იზამთ, ბიჭებო, აიღებთ?

— ავიღებთ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— შეინარჩუნებთ საღამომდე?

— შევინარჩუნებთ! — ერთხმად ვუპასუხეთ.

— მაშ, სიტყვას მაძლევთ, ხომ?

— გპირდებით, ამხანაგო პოლკოვნიკო! — ჩვენმა შეძახილმა ალბათ ფაშისტთა სანგრებამდეც მიაღწია.

ჩვენ შევასრულეთ სიტყვა, სოფელი დავიბრუნეთ და საღამომდე კი არა, დილამდე იქედან ფეხი არ მოგვიცვლია. და თუმცა დილით ნაწილში მხოლოდ ოციოდე მებრძოლი დავბრუნდით, პოლკოვნიკისთვის მიცემული სიტყვა შევასრულეთ და ათასობით სიცოცხლე დაღუპვისაგან ვიხსენით.

მეორე ამბავი ომის დამთავრებიდან მეოთხე თუ მეხუთე წელს მოხდა. საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი. მეთერთმეტე კლასში ერთი საინტერესო მოწაფე მყავდა, გვარად მალანია იყო, გურამი ერქვა. ჩუმი, უპრეტენზიო ყმაწვილი გახლდათ, არც ზრდილობა აკლდა. მაგრამ უცნაური თვისება ჰქონდა: გუშინ რომ გაკვეთილს ხუთზე ისწავლიდა, დღეს ორზე გიპასუხებდა, ხვალ კიდევ ხუთზე და ა. შ.

ერთხელ შინ მივაკითხე, მინდოდა გამეგო, სწავლაში რაიმე ხელს ხომ არ უშლის-მეთქი. ოჯახში დედა და უფროსი და ჰყავდა (მამა ომში დაკარგულიყო). ღარიბულად ცხოვრობდნენ (თუმცა ვინ ცხოვრობდა მაშინ მდიდრულად!). ბიჭი მარტო იყო სახლში. ვისაუბრეთ, ხან აქედან მოვუარე, ხან იქედან და ბოლოს ვათქმევინე ყველაფერი. თურმე უფიქრია, მამა მუშა იყო, დედა და და მუშები არიან, მეც ქარხანაში უნდა წავიდე და მუშისთვის წარჩინების ატესტატი რა აუცილებელიაო? გავბრაზდი და კინაღამ მკახედ ვუპასუხე, მაგრამ თავი შევიკავე და ავუხსენი, რომ სასტიკად ცდებოდა: ჯერ ერთი, საბჭოთა მუშა სწორედ განათლებული უნდა იყოს, უამისოდ — მარტო სამიანებით — დაკისრებულ საქმეს თავს ვერ გაართმევს-მეთქი; გარდა ამისა, — ვკითხე, — რით არის ცუდი, რომ სწორედ ფრიადებზე ისწავლო და ინჟინერი ან ტექნიკოსი გახდე? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა კაცმა საკუთარი ენა და ლიტერატურა სამიანზე რატომ უნდა იცოდეს-მეთქი?

კარგა ხანს ვისაუბრეთ და ბოლოს მითხრა — კარგი, მასწავლებელო, დღეიდან მარტო ხუთიანებზე ვისწავლიო. ვაჟკაცურად მპირდები-მეთქი? გპირდებითო, — მტკიცედ, მართლა ვაჟკაცურად მიპასუხა.

ის იყო და ის. იმ დღიდან არა მარტო ჩემს საგანში, სხვა საგნებშიც ხუთიანზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია. სკოლა წარმატებით დაამთავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო.

აი, ბავშვებო, რა ძალა აქვს კაცური კაცის სიტყვას — იგი ყოველთვის საქმედ განხორციელდება ხოლმე!... ასე კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ჯერ „ასჯერ გაზომავ", აწონდაწონი შენს შესაძლებლობებს, შეაფასებ საკუთარ ნებისყოფის ძალას, ხოლო შემდეგ კი ნავალდებულევს აღარ გადაუხვევ და ბოლომდე მიჰყვები. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა შენი სიტყვა საქმედ და შენზეც იტყვიან: აი, ის ყმაწვილი სიტყვის კაციაო!..

**ილია შენგელია,**
თბილისის 114-ე საშუალო სკოლის დირექტორი, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

## სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი

„სიტყვა და საქმე"!

მართლაც რომ განუყოფელია ეს ორი ცნება.

სიტყვა ადამიანის უპირველესი თვისებაა. იგი სიტყვის წარმოთქმით დაუპირისპირდა ცხოველთა სამყაროს და გამოეყო მას. ადამიანის მოღვაწეობაში სიტყვას იმთავითვე დაუ-

კავშირდა საქმე: სიტყვის საშუალებით მუშავდებოდა აზრი და იდეა, რომელიც შემდეგ საქმით იბამდა ხორცს. ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრებაში სიტყვას ყოველთვის ამშვენებდა საქმე. ამიტომაც მათ საგანგებო ხატოვანი ფორმულაც შექმნეს: „სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო“. ცოცხალ მეტყველებაში გაჩნდა გამოთქმა: „სიტყვის კაცი“. „სიტყვის კაცი“ პატივსაცემი პიროვნებაა, „კაი ყმა“ ანუ ღირსეული ვაჟკაცია, ლექსის გმირია, რადგან, როგორც თქმულა, „სიტყვა, კეთილად ნათქვამი, არ დავარდების ძირსაო“. სიტყვის „ძირს დაგდება“ იგივე უპირობაა. უპირო ადამიანზე იტყვიან: „სიტყვაბარაქიანიო, საქმეღალატიანიო“; „სიტყვით: ვაი, მეო, საქმით: სხვაი მეო“. თუ ადამიანის სიტყვას საქმე არ მოსდევს, ხალხის თვალში ასეთი კაცი „სიტყვაქარიანია“. სიტყვას მოვლა, გაფრთხილება უნდა, მას დაცვა და შესრულება სჭირდება; ეს თვით ადამიანზეა დამოკიდებული, რადგან, ანდაზის თანახმად, „სიტყვას ათავნებ— თავნია, აქარებ — ქარია“. ადამიანს, რომელიც თავისი სიტყვის პატრონი არ არის, ხალხმა საგანგებო ეპითეტები მიუსადაგა: სიტყვის გამტეხი, უპირო, პირშავი, ენაჭარტალა, უპირისწყლო, მერყევი, ენამრავალა, მოლაყბე, ლაქლაქა, უნდო, ენაბალნიანი, ტყუილების გუდა, ენაუკარო და სხვ.

ქართული ზეპირსიტყვიერება, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა სიტყვისა და საქმის ერთიანობის საგალობელია. სულხან-საბა ორბელიანის ხალხური სიბრძნით დამშვენებულ „სიბრძნე სიცრუისაში“ ვკითხულობთ: სწავლულმა ლეონმა მეფე ფინეზს სიტყვა მისცა, რომ სანაქებოდ აღუზრდიდა ერთადერთ ვაჟიშვილს — ჯუმბერს, თანაც მეფეს პირობა ჩამოართვა — „ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინოო“. შეუდგა ლეონი უფლისწულის აღზრდას. და აი, ბოროტმა ენამ მეფე ფინეზი ლეონის მოკვლის განზრახვამდე მიიყვანა, მაგრამ „დადებული სიტყვის“ გახსენებამ განზრახვაზე ხელი აღებინა. ლეონმაც, თავის მხრივ, პირნათლად შეასრულა სიტყვა და მეფეს საქმით დაუმტკიცა თავისი პირიანობა — მართლაც შესანიშნავად აღუზარდა ვაჟი. ამის შემდეგ დიდი საბა დაასკვნის: „ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, დიდად მოეწონა“.

სულხან-საბას ეს მოხდენილი გამონათქვამი წარსულის საკუთრება როდია. იგი თავისი სიბრძნითა და სიდარბაისლით დღესაც ხშირად შეგვახსენებს თავს და გვაფრთხილებს: არ გავტეხოთ სიტყვა, საქმით დავაგვირგვინოთ იგი, ვიდგეთ საქმიანი სიტყვის სადარაჯოზე — შრომის ფრონტი იქნება ეს თუ სწავლის asპარეზი.

სიტყვა თქვენზეა, პიონერებო, სიტყვა — საქმით დამშვენებული!

**გიზო ჟღენტი**

გიზო ჟელიძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## თქვენ რას იტყვით?

ჟურნალ „პიონერის“ პირველ ნომერში ინტერესით წავიკითხე წერილი „სიტყვა და საქმე“.

ერთი შაბათობის შესახებ უნდა გიამბოთ.

ამ ორი თვის წინათ, კვირადილით, მოსწავლეები სკოლის ეზოში შევიკრიბეთ. ჩვენმა რაზმმა ივალდებულა, რომ სანიმუშოდ დაალაგებდა საკლასო ოთახს, მონაწილეობას მიიღებდა სკოლის ეზოს დასუფთავებაშიც, შეაგროვებდა ჯართს.

მართლაც, საკლასო ოთახის დალაგებაში ყველა ბავშვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. ზოგი იატაკს რეცხავდა, ზოგი ფანჯრის მინებს აპრიალებდა, სხვები მერხებს წმენდდნენ. გოგონებთან ერთად ბევრი იშრომეს ბიჭებმა, განსაკუთრებით — ზურაბ ანთიძემ. უფროსებმა კარგი მუშაობისათვის მადლობა გვითხრეს. მადლობა დავიმსახურეთ სკოლის ეზოს დასუფთავებაში აქტიური მონაწილეობისთვისაც. გარდა ამისა, ჩვენი რაზმის ბიჭებმა დიდი რაოდენობით ჯართი მოზიდეს.

გათენდა ორშაბათი. საკლასო ოთახი ბავშვებით აივსო. ზურაბ ანთიძემ ტარიელ ემირიანთან ჭიდაობა გამართა, ამ ჭიდაობაში კარადის მინა ჩაამტვრიეს და ერთ მერხს ფეხი მოატეხეს. მორიგეები კი, იმის ნაცვლად, რომ იატაკიდან აკრეფილი ქაღალდის ნაკუწები ნაგვის ყუთში ჩაეყარათ, მათ ფანჯრიდან ისროდნენ და სკოლის ეზო კვლავ დანაგვიანდა. ხოლო რაც შეეხება ჯართს... აღმოჩნდა, რომ მისი მეტი წილი ბიჭებს თურმე მეზობელი რუსული სკოლის ეზოდან მოეტანათ.

რას იტყვით, როგორი ყოფილა ჩვენი სიტყვა და საქმე?

**ხათუნა ჩიკვილაძე,**

თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.



კონცერტი. გოჩა მუმლაძე, ზესტაფონის საშუალო სკოლა, VI[3] კლასი.




# ზნეობის ანბანი

## პატივისცემა—

**გრძნობა მოწიწებისა, პატივისა, რომელიც ეყრდნობა ამა თუ იმ პიროვნების მაღალი თვისებების, ღირსების აღიარებას.**

ყოველ ადამიანს აქვს სურვილი, რომ მას ანგარიშს უწევდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ, მის აზრს ყურად იღებდნენ. ყველაფერი ეს ნიშანია მის ირგვლივ მყოფთა პატივისცემისა მისადმი.

მაინც რისთვის სცემენ პატივს ადამიანებს? და როგორ ურთიერთკავშირშია ადამიანებისადმი პატივისცემა და საკუთარი თავის პატივისცემა?

ერთმა ყმაწვილმა თქვა: „მე მინდა, რომ პატივს მცემდნენ, რომ მე თვითონ ვცემდე ჩემს თავს პატივს, პატივს კი მხოლოდ ნიჭიერებს სცემენ. როგორ ვიცხოვრო, თუ არაფრის ნიჭი არა მაქვს? და აბა რა ცხოვრებაა, თუ ბედნიერი არ იქნები?“

ვფიქრობ, ეს მსჯელობა მცდარია.

ჯერ ერთი, ადამიანს პატივს მარტო ნიჭის გამო როდი სცემენ, აფასებენ მის შრომის უნარს, სიმართლეს, სამართლიანობასაც — ე. ი. იმ ზნეობრივ თვისებებს, რომლებიც შეგიძლია გამოიმუშავო და ამით ირგვლივ მყოფთა პატივისცემა დაიმსახურო.

მე მიმაჩნია, რომ არ ღირს ორი სხვადასხვა საკითხის — ნიჭისა და პატივისცემის ერთმანეთში არევა.

მართალია, არიან ადამიანები, რომლებიც პატივს მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებს სცემენ: დირექტორი, მთავარი კონსტრუქტორი, მთავარი ინჟინერი. ერთი სიტყვით, სულ ერთია ვინ, ოღონდ მთავარი იყოს! ეს კარგად ჟღერს. მათ წარმოდგენაში ეს დაკავშირებულია მატერიალურ წარმატებასთან.

გაუზრდელ ადამიანს მიაჩნია, მაგალითად, რომ ადამიანი, რომელიც მას ემსახურება, მასზე დამოკიდებულია და ამდენად შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს: არ შეამჩნიოს, არ მიესალმოს, უხეშად მოეპყრას მას.

კარგად აღზრდილ ადამიანს კი ისე უჭირავს თავი, თითქოს ის თვითონ იყოს დამოკიდებული იმათზე, ვინც მას ემსახურება (ეს ხომ მართლაც ასეა!), გაწეული სამსახურისათვის სამაგიეროდ მიაგებს თავაზიან მოპყრობას და საჭიროების შემთხვევაში საპასუხო მზრუნველობას, იგი ადამიანის მიმართ პატივისცემას იჩენს.

არა და რა ხშირად ვიყრუებთ თავს სხვისი სიტყვის, ინტონაციის მიმართ, რა შემთხვევით, მოუფიქრებლად ვარჩევთ სიტყვებს, რა ხშირად გვაკლია სხვისი მოსმენის და თავშეკავების ნიჭი... ეს ხდება საკუთარი თავისა და ირგვლივ მყოფთა მიმართ არასაკმარისი პატივისცემის გამო!

ერთხელ მაგნიტოფირზე ჩაწერეს ორი ახალგაზრდის კამათი. მათ ეს, ცხადია, არ იცოდნენ.

მეგობრები სხვა პლანეტებზე სიცოცხლის შესაძლებლობის ირგვლივ კამათობდნენ — თემა, როგორც ხედავთ, მეტად მწვავე და საინტერესო იყო. ორივე ახალგაზრდამ მაღალი ერუდიცია და ნაკითხობა გამოიჩინა. მაგრამ როდესაც თავიანთი კამათის ჩანაწერი მოასმენინეს, ორივე შეძრწუნდა.

— ეს მე არა ვარ! — თქვა ერთმა მათგანმა.

— ნუთუ მე ასე ვღრიალებდი? — იკითხა მეორემ.

კამათს აკლდა მთავარი: ჭეშმარიტების ძიება. თითოეული გაიძახოდა თავისას, არ უსმენდა მოსაუბრეს, თითოეული ცდილობდა ხელში ჩაეგდო ინიციატივა, თვითონ წაეყვანა კამათი, დაეჯაბნა მოკამათე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ— ბოლოს და ბოლოს, როცა კამათის თემა გამოიკვეთა, აღმოჩნდა, რომ ის არც არსებულა! აღმოჩნდა, რომ ორივენი ერთი აზრისა არიან, ძირითად დებულებებში სრულიად ეთანხმებიან ერთმანეთს.

რა ხშირად ვიწყებთ და ხმისჩახლეჩამდე ვკამათობთ, ისე, რომ წესიერად არც კი გვაქვს გარკვეული იმ ცნების მნიშვნელობა, რომელსაც წამდაუწუმ ვიშველიებთ. შედეგი, როგორც წესი, დროის ამაო ხარჯვა და ნერვების წყვეტაა... რაც მთავარია, აზრთა ჭიდილის ნაცვლად — პატივმოყვარეობის ჭიდილი: არა „სად არის ჭეშმარიტება?“, არამედ „ვინ აჯობა კამათში!“. ამაშიც ნათლად ჩანს უპატივცემლობა მოკამათის, მისი აზრების მიმართ.

ლ. კოვალიოვა.

●

ყველას გვინდა მეგობრები გვყავდეს, გვინდა, რომ პატივს გვცემდნენ, მაგრამ სპეციალობის, პროფესიული ინტერესებისა და ურთიერთობათა დახშულ წრეში, ტერიტორიული მომენტების მიღმა როგორ მივაღწიოთ მეორე, მეგობრული სულის ადამიანამდე? იქნებ მაინც არსებობს რაღაც საიდუმლო, ზღაპრულ „სეზამ, გაიღეს!“ მსგავსი. ...ერთხელ მე მოწმე გავხდი, როგორ დგამდა ლენინგრადის ტელევიზიაში სპექტაკლს „ახალშობილები ჯუნგლებში“ (ო' ჰენრის ნოველის მიხედვით) გამოჩენილი კინო და თეატრალური მსახიობი სერგეი იურსკი. სტუდიაში გასაოცარი სიწყნარე იყო: ყველას ეშინოდა გადაღებისთვის ხელი არ შეეშალა და ფეხისწვერებზე დადიოდნენ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. როდესაც პირველი ეპიზოდის გადაღებას მორჩნენ, სერგეი იურსკიმ პარიკი მოიხსნა (იგი სპექტაკლში მხოლოდ რეჟისორი არ იყო, მთავარ როლსაც — გაიძვერა ჯეფ პიტერსის როლს ასრულებდა) და თქვა: „დიდი მადლობა ოპერატორებს, დიდი მადლობა მიხეილ პეტრესძეს... დიდი მადლობა ყველას. შესვენება ხუთი წუთით“.

ეს მე დავსვი სამი წერტილი, იურსკიმ კი გაიხსენა და მადლობა უთხრა ყველას: გამნათებლებს, ტექნიკოსებს, გამოჩენილი მსახიობიდან დაწყებული ხუთი წლის გოგონა ალიონათი გათავებული (რომელიც ერთი წუთით ჩნდებოდა კადრში).

ამან სულ მცირე დრო წაართვა, მაგრამ ამის და კიდევ ბევრი ამდაგვარი წვრილმანის გამოისობით სტუდიაში შეიქმნა საოცარი ატმოსფერო. მსახიობები, რომელთაც უკვე ითამაშეს თავიანთი ეპიზოდი, კი არ მიდიოდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ თვალყურს ადევნებდნენ ამხანაგების მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დეკორაცია დიდი ხანია მზად იყო, მხა-

ტვარიც იქვე, შორიახლო იჯდა: ვინ იცის, რა შეიძლება გახდეს საჭირო. და როდესაც სინამდვილეში საჭირო გახდა ვაშლი რეჟისორის მიერ აქვე, სახელდახელოდ მოფიქრებული ეპიზოდისთვის, რამდენიმე კაცი ყოველგვარი განკარგულების გარეშე გაიქცა მის საშოვნელად.

ეს მეტისმეტად ძნელი გადაღება იყო: დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე ჩახუთულ, გავარვარებულ სტუდიაში. მაგრამ ადამიანები მუშაობდნენ გაუღიზიანებლად, უყვირლად, მუშაობდნენ სიამოვნებით, რადგან რეჟისორი ენდობოდა თითოეულს, ყურს უგდებდა სხვათა რჩევებს, მისთვის არ არსებობდნენ მთავარი და მეორეხარისხოვანი ადამიანები, იყვნენ მხოლოდ თანამოაზრენი — და ხალხიც მთელი შესაძლებლობით მუშაობდა.

„იურსკისთან კარგია მუშაობა, — მითხრა შემდეგ ერთმა ოპერატორმა, — მან ზუსტად იცის რა უნდა, მაგრამ ყოველთვის სხვებსაც უსმენს“.

რაც უფრო ნიჭიერი, მნიშვნელოვანი, დიდია ადამიანი, მით უფრო ხელმისაწვდომია, უბრალო, მით უფრო ადვილია მასთან ურთიერთობა. თავის ირგვლივ მყოფთა პატივისცემა — მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, და ამდენად მუდმივიც.

რამდენიმე წლის წინათ ჩემს მეგობრებთან, პიონერთა სასახლის ლიტერატურული კლუბის წევრებთან ერთად, შუა რუსეთში მოგზაურობისას ტარუსაში მოვხვდით. ტარუსა პატარა, წყნარი ქალაქია, სადაც იმხანად ბევრი გამოჩენილი მწერალი და მხატვარი ცხოვრობდა. ტარუსაში გატარებული ერთი კვირის შემდეგ ყველანი მივედით ერთი შეხედვით სასაცილო, მაგრამ, ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვან დასკვნამდე: ყველაზე მიუკარები და გოროზნი არიან დიდი ადამიანების შინამოსამსახურეები, შემდეგ შორეული ნათესავები, ხოლო მაშინ, როდესაც გაალწევ ამ ორ, თითქმის გაუვალ მიჯნას, და გულის ცახცახით ელი თვით „მასთან“ შეხვედრას, უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, ხვდები ჭკვიან, კეთილ ადამიანს, რომელსაც აინტერესებს ყველაფერი, და მათ შორის შენც, ეს ჩვენთვის შესანიშნავი გაკვეთილი იყო, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გვემახსოვრება.

მერე რა იოლია აღივსო საკუთარი დიდმნიშვნელოვანების შეგნებით, ირწმუნო საკუთარი უცოდველობა და დაიჯერო, რომ უფლება გაქვს ყველას ჭკუა ასწავლო.

პირველად მასწავლებლობა რომ დავიწყე, ჩემი თავი ძალზე ჭკვიანი, ყველაფრის მცოდნე მეგონა და ველოდი, რომ ჩემი მოსწავლეები პირდაფჩენილები, თრთოლვით მოისმენდნენ ჩემს ყოველ სიტყვას. ისინი კი ჩემს გაკვეთილებზე პირს მხოლოდ იმისთვის აღებდნენ, რომ ერთმანეთში ეჭორავათ ანდა ხმამაღლა ეთქვათ რაიმე, უსათუოდ ჩემი შეურაცხმყოფელი.

ჩვენ დიდხანს ვიბრძოდით, ვიდრე ერთხელ მარინას ფილარმონიაში არ შევხვდი, ვიდრე არ გავიგე, რომ ანდრეის ჯაზური მუსიკა უყვარს, საშას კი პატარა დაიკო ჰყოლია, რომელიც უთუოდ მან უნდა წამოიყვანოს ბაღიდან შინ. მას შემდეგ რაღაც დაიძრა:

პითეკანთროპების ნაცვლად (ასე მოვნათლე ისინი პირველ ხანებში) დავინახე ადამიანები. სულ სხვადასხვაგვარი, ბევრი რამ მათ ჩემზე ცუდად იცოდნენ, ბევრი კი — ჩემზე უკეთ. მე უკვე აღარ შემეძლო მათთვის თავს მომეხვია ჩემი ჭეშმარიტებები. მე დავიწყე მოსმენა, პატივისცემა, რადგან მათ ნამდვილად ჰქონდათ ისეთი ღირსებები, რაც პატივისცემას იწვევდა, — უბრალოდ, ადრე მე ამას ვერ ვამჩნევდი. ჩვენ თანდათანობით შევწყვიტეთ მტრობა, დავიწყეთ სწავლა: მათ ჩემგან, მე მათგან, და ყველამ საოცრად კარგად ვიგრძენით თავი, ისევე, როგორც კარგად გრძნობენ თავს ადამიანები, რომელთაც ურთიერთისა ესმით.

ეს ხომ არც ისე ძნელია — მოიხედო და იფიქრო: როგორ გუნებაზე ადგა ამ დილით დედა? რატომ ღიღინებს ჩვენი მეეზოვე თავისთვის? რატომ გაჩერდა შუაგზაზე პატარა პირველკლასელი? იქნებ დახმარება უნდა? მასწავლებელს კი დღეს უჩვეულოდ ლამაზი ვარცხნილობა აქვს.

აქედან, ამ წვრილმანებიდან იწყება პატივისცემა, ადამიანების ნდობა, მათდამი ინტერესი.

სამყარო სავსეა საიდუმლოებებით, და ყველაზე იდუმალი მათ შორის — შენს გვერდით მყოფი ადამიანია. შეხედე, მოუსმინე, იფიქრე, გაბედულად გაუწოდე ხელი: „სეზამ, გაიღე!“

მ. სმუსინა.

# უცხოური იუმორი

## ზოოლოგიურ მაღაზიაში

— აი ამ წითელი თუთიყუშის ყიდვა მინდა, — მიმართა მუშტარმა გამყიდველს.

— ფრანგი ბრძანდებით?

— რატომ გაინტერესებთ?

— იმიტომ, რომ მაშინ თეთრი თუთიყუშის შეძენაც მოგიწევთ. წითელი მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობს და თეთრი ინგლისურიდან ფრანგულად თარგმნის ხოლმე.

## სახიფათო თავგადასავალი

— აფრიკის ექსპედიციაში ყოფნისას პირველსავე დღეს ლომს გადავეყარე, — უყვებოდა ჰანსი მეგობარს.

— ჰოდა, სხვა იარაღი რომ არ მქონდა, დანით ვეცი და კუდი წავაჭერი.

— რატომ თავი არა?

— სამწუხაროდ, თავი აღარ ება, ჩემამდე უკვე ვიღაცას მოეკვეთა.

## „საპატიო“ მიზეზი

— ყოველთვის ჭუჭყიანი ყურებით რატომ მოდიხარ, კურტ?

— სხვა ყურები არა მაქვს, ბატონო მასწავლებელო.

## მიზეზი

— საოცარია, ერთ დღეს ამდენი სისულელე როგორ ჩაიდინე?

— ძალიან ადრე ავდექი.

## დაპატიჟება

— გინდა, ხვალ ჩემთან ერთად ივახშმო? — უთხრა ოტომ მეგობარს.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო მან.

— მაშ ხვალ, საღამოს 8 საათზე, შენთანა ვარ.

## ჯანმრთელობის საწინდარი

კოლეგებით გარშემორტყმული ერთი სახელგანთქმული ექიმი სასიკვდილო სარეცელზე იწვა.

— ბატონებო, — თქვა მან, — ჩემი სიკვდილის შემდეგ სამ დიდ მკურნალს ვტოვებ.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ ის სამი მათ შორის იყო, და სთხოვეს დაესახელებინა.

— წყალი, მოძრაობა, დიეტა, — გაისმა მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.




**გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი ლუიზელოტე ველსკოპფ-ჰენრიხი სათავგადასავლო მეცნიერულ-პოპულარული ზღაპრის ფორმით გვაცნობს გარემომცველ სამყაროს, წყლის მიმოქცევის პროცესს და ბევრ საინტერესოს გვიამბობს გარემო ცხოვრებიდან.**

## ლუიზელოტე ველსკოპფ-ჰენრიხი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს მინდა მოგიყვეთ სამი წვეთის ამბავი. პირველ წვეთს ჰქვია ჰიუდორი, მეორეს — აკვა, ხოლო მესამეს — ოო. საინტერესო სახელებია, არა? ჯერ მომისმინეთ და მერე გეტყვით, საიდან ჰქვია მათ ასეთი სახელები:

### პირველი თავგადასავალი:

ჩვენი მოგზაურები ერთ ღრმა ზღვაში ცხოვრობდნენ. იქ მუდამ სიბნელე, სიწყნარე და სიცივე სუფევდა, მზე იქამდე ვერ აწვდენდა თავის თბილ სხივებს. ისინი მუდამ დაღვრემილები და ზღვის წყალივით მლაშენი იყვნენ.

„ო, როგორი მოწყენილობაა! — თქვა პატარა მრგვალმა ოომ. — აღარ მინდა ასე წოლა“.

უეცრად საშინელი ჭექა-ქუხილის ხმა შემოესმათ. ზღვის ფსკერი გაიხსნა და ნაპრალიდან ცეცხლის ენები ამოცვივდნენ. ეს იყო ვულკანი. ვულკანი წყალქვეშ! წვეთებს ძალიან გაუკვირდათ, რადგან ასეთი რამ ჯერ არ ენახათ. სიცხისაგან სული ეხუთებოდათ. მერე თანდათან ამჩატდნენ და ზემოთ იწყეს ამოტივტივება. უნდა გენახათ, როგორ უხაროდათ! ზემოთ სითბო და სინათლე მეფობდა. ზღვის ფსკერი კი ჯერ კიდევ ზანზარებდა. ჰიუდორი, აკვა და ოო უფრო და უფრო ზემოთ მიიწევდნენ. აი, ისინი ღია მწვანე ფერის წყალში გავიდნენ. აქ უკვე ბევრ თევზსა და მცენარეს დაედო ბინა. ირგვლივ მწვანე, ცისფერი და ვარდისფერი თევზები დაცურავდნენ. წვეთებმა სხვა პატარა არსებებიც შენიშნეს. ისინი ვარსკვლავებს წააგავდნენ და ძალიან ლამაზები იყვნენ. წყლის სამი წვეთი წყალთან ერთად კიდევ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა. 4000 მეტრი სიღრმიდან მოუხდათ მათ მანძილის ამოვლა, მერე კი დაიწყო

### მეორე თავგადასავალი:

ზღვა ისევ ისე ღელავდა. ჰიუდორი, აკვა და ოო წყალში დაცურავდნენ და ტალღები აქეთ-იქით ახლიდნენ მათ, ისინი კარგა ხანია რაც სიღრმიდან ამოვიდნენ და ახლა ზღვის ზედაპირზე იმყოფებოდნენ. დიდი ხნის ცურვის შემდეგ გემს მოჰკრეს თვალი. გემი შუა ზღვაში მიცურავდა და ჩვენი მოგზაურები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ ებრძოდა იგი უზარმაზარ ტალღებს. გემის საჭესთან შტურმანი იდგა. ეს იყო ხნიერი თეთრწვერა მეზღვაური. უეცრად დიდი ტალღა გადაევლო გემს. ამ ტალღამ ჰაერში აიტაცა პატარა ოო და... პირდაპირ პირში მოხვდა მოხუც მესაჭეს!

„მიშველეთ!“ — დაიყვირა პატარა, მრგვალმა ოომ, ის შეშინებული აკანკალდა, რადგან მესაჭეს შეეძლო გადაეყლაპა, მაგრამ ოოს ბედმა გაუღიმა:

„ფუი, რა მლაშე წყალია!“ — წამოიძახა მესაჭემ და გემბანიდან შორს ზღვაში გადააფურთხა. ასე დაუბრუნდა ფუნჩულა ოო თავის ძმებს, მაგრამ ახლა დაიწყო

### მესამე თავგადასავალი:

წყლის წვეთები ტალღებს მიჰყვებოდნენ, მაგრამ საით? ეს არ იცოდნენ ჰიუდორმა, აკვამ და ოომ.

ნათელი დღე იდგა. წვეთები მექსიკის ყურეში დაცურავდნენ. მზე ძალუმად აცხუნებდა. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა. ჰიუდორს, აკვას და ოოს მშვიდად ჩაეძინათ, ზღვის ცხელმა ტალღამ ისინი უცხო სანაპიროზე გარიყა. წვეთები ახლა სანაპიროს ყვითელ ქვიშაზე იწვნენ, მაგრამ უეცრად შეშინებულებს გამოეღვიძათ. რა ძალიან იკბინებოდა მზე! სამხრეთის შუადღის მცხუნვარე მზეზე თანდათან პატარავდებოდნენ წვეთები და მალე ისინი ერთი ციცქნა წერტილებს დაემსგავსნენ. მერე კი სულ გაქრნენ ყვითელ ქვიშაზე. დიახ, ეს საშინელი თავგადასავალი იყო, მაგრამ საბედნიეროდ დაიწყო

### მეოთხე თავგადასავალი:

მცხუნვარე მზეში წყლის სამი წვეთი თანდათან ამჩატდა, ბოლოს ჰაერივით მსუბუქები ცისკენ გაემართნენ. წვეთები ახლა მსუბუქ ორთქლად გადაიქცნენ. მათი მარილი კი ზღვის სანაპიროს ქვიშაში დარჩა. ასე ავიდნენ ჰიუდორი, აკვა და ოო ჰაერში ერთ დიდ ღრუბელთან. რა მსუბუქები იყვნენ ახლა! მაგრამ ცისკენ ისინი მარტონი არ მიემართებოდნენ. მილიონობით წყლის წვეთი ამოფარფატდა ჰაერში და თავი მოიყარა ერთ დიდ ღრუბელში. ამ ღრუბელთან ერთად მიფრინავდნენ ჩვენი მოგზაურები დედამიწის თავზე. ისინი ქვევით ხედავდნენ მდინარეებსა და მდელოებს, ქალაქებსა და სოფლებს, მინდვრებსა და სახლებს, ადამიანებსა და ცხოველებს.

უცებ ქარმა დაუბერა და ღრუბლებს ერთად მოუყარა თავი.

„სად იყავი ამდენ ხანს?“ — ჰკითხეს წვეთებმა ქარს.

„უჰ! — ამოიოხრა ქარმა — კარგახანს მეძინა, მაგრამ ახლა გამომეღვიძა და ისევ მომინდა ძლიერად ქროლვა! თქვენ შეგიძლიათ ჩემთან ერთად დიდი და მშვენიერი მოგზაურობა მოაწყოთ“.

„რა კარგია! — თქვეს წყლის წვეთებმა მხიარულად. — ძალიან გვინდა მოგზაურობა, წაგვიყვანე თან“.

აი, ჰიუდორი, აკვა და ოო უკვე თეთრ ღრუბელზე სხედან, მოგზაურობა სულ უფრო და უფრო სწრაფი ხდებოდა. თანდათან აცივდა ღრუბელში. ახლა წყლის სამი წვეთი სულ უფრო და უფრო დაპატარავდა და დამძიმდა, მათი ღრუბელი თეთრად აღარ ქათქათებდა, ის გამუქდა და მალე სულ გაშავდა. აი, დაიწყო



### მეხუთე თავგადასავალი:

უეცრად ღრუბელი ერთ მაღალ მთას წამოედო და ველარ შეძლო გზის გაგრძელება, ქარი ისევ გზას გაუდგა, ღრუბელი კი მარტო დარჩა მთაზე.

„სადა ვართ ახლა?“ — იკითხეს ჰიუდორმა, აკვამ და ოომ. არც ერთ წვეთს არ შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. პატარა ფუნჩულა ოოს შეეშინდა და სატირლად მოემზადა.

„თქვენ ამერიკაში ხართ, ერთ დიდ მთაზე,—უპასუხა მთამ.—ბევრი ღრუბელია ჩემზე დაკიდებული. ამის იქით ვეღარ მიდიან!“

„ოჰ, შე ბებერო, ბოროტო მთავ!“ — წამოიძახა ოომ და ღრიალი მორთო. ის უკვე აღარ იყო ორთქლი, ისევ წყლის წვეთად გადაიქცა და თავის ძმებთან ერთად ღრუბლიდან დედამიწაზე ჩამოვარდა.

„წვიმს“ — თქვეს ადამიანებმა და სახლებში შეიმალნენ, წყლის სამი წვეთი ნაკადულში ჩაცვივდა და მის დინებას გაჰყვა. ასე დაიწყო მათთვის

### მეექვსე თავგადასავალი:

ნაკადულმა წყლის სამი წვეთი ერთ დიდ დაბლობზე მიიყვანა. ამ ველზე მათ იხილეს საშინელი წყალდიდობა. ხანგრძლივი წვიმებისაგან მდინარე მისისიპი ნაპირებიდან გადმოსულიყო და ველი წყლით დაეტბორა. მთელი სოფლები და სახლები ღრმა წყალში იდგნენ.

— „რატომაა აქ ამდენი წყალი?“ — იკითხეს შიშისაგან გულგახეთქილმა წვეთებმა. მათ ჩამოსხდომა უნდოდათ და ხეს ეძებდნენ, მაგრამ მთელ დაბლობში ერთი ხეც ვერ იპოვეს. ისინი დიდხანს დაეძებდნენ და ბოლოს მიწის სიღრმეში წყლის ქვეშ ბებერი ხის ფესვებს წააწყდნენ.

„სად არის შენი ხე?“ — ჰკითხეს წვეთებმა.

„ეჰ, წინათ დიდ, მშვენიერ ხეს ყოველდღე წყალს ვაწვდიდი, — ამოიოხრა ფესვმა ნაღვლიანად, — აქ ათასობით დიდი ხე იდგა და ფესვებით იწოვდა წყალს ნიადაგიდან. ამიტომაც იყო, რომ ამ ველზე არასოდეს არ ხდებოდა წყალდიდობა. მაგრამ შემდეგ აქ უცხო ადამიანები მოვიდნენ და გაანადგურეს ყველა ხე, მათ შორის ჩემი ლამაზი ხეც. მას შემდეგ ამ დიდ ველზე ხშირად იცის წყალდიდობა. წადით აქედან, წყლის პატარა წვეთებო. ნუღარ დარჩებით აქ!“ — თქვა ხნიერმა ხის ფესვმა.

სამი წვეთი იქაურობას მოშორდა. წყლის დიდმა ნაკადმა წარიტაცა ისინი და დიდი ხნის ტარების შემდეგ მიიყვანა ერთ სახლთან, რომელიც სახურავამდე წყალში იდგა. იქვე შორიახლოს მათ დაინახეს ნავი, რომელშიც პატარა გოგონა იჯდა დედამისთან ერთად. გოგონა ტიროდა. მას სახლი აღარ ჰქონდა, ყველაფერი წყალს წაელეკა.

წყლის წვეთებმა გზა განაგრძეს და დიდმა მდინარე მისისიპიმ ისინი კვლავ ზღვაში ჩაიყვანა.

„ზღვაში ჩვენ უკვე ვიყავით, — წამოიძახა მრგვალმა ოომ. — აქედან არ დავიწყეთ მოგზაურობა?.“

მაგრამ მალე რაღაც ახალი მოხდა. ეს იყო



### მეშვიდე თავგადასავალი:

აი, ჰიუდორი, აკვა და ოო ზღვაში შეხვდნენ ერთ მოხუც, ჭკვიან წყლის წვეთს.

„წამოდით ჩემთან ერთად. მე გოლფსტრიმისკენ მივცურავ და შემიძლია ბევრი კარგი რამ გიჩვენოთ“, — თქვა მან.

„რა არის „გოლფსტრიმი“!? — წამოიძახეს სამთავემ. ეს მათ, რასაკვირველია, არ იცოდნენ.

„ო, ძმანო, ნუთუ არ იცით, რა არის გოლფსტრიმი? — შეეკითხა მოხუცი წვეთი. — ეს არის ზღვის თბილი დინება. ის მიედინება ატლანტიკის ოკეანეში, ევროპის ახლოს, ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე“, და წყლის სამმა წვეთმა ახალი მოგზაურობა წამოიწყო.

ზაფხულის მშვენიერი ღამე იყო, მაღლა ცაში უამრავი ვარსკვლავი ბრწყინავდა. ზღვაზე წვეთებმა გემები დაინახეს. ერთ გემზე მოხუცი თეთრწვერა მესაჭე იდგა. ის ახლა ევროპიდან მექსიკაში ბრუნდებოდა. წვეთები მხიარულად და მშვიდად იყვნენ. მშვენიერმა მოგზაურობამ კმაყოფილება მოჰგვარათ. ისინი ოკეანეში იყვნენ და ოკეანის წყალში თამაში უნდოდათ, მაგრამ უკვე ელოდათ

## მერვე თავგადასავალი:

ჰიუდორი, აკვა და oო ოკეანეში თამაშობდნენ. მილიონობით და მილიარდობით წყლის წვეთთან ერთად სწრაფად მიაქანებდა გოლფსტრიმის თბილი დინება წყლის პაწაწინა წვეთებს ატლანტიკის ოკეანის გავლით ჩრდილოეთისაკენ. აქ მათ ყველაფერი ეუცხოვათ. აღარც ისე თბილოდა, როგორც უწინ. გაოცებულებმა მიმოიხედეს ირგვლივ, იკითხეს, ,,სად ვართ?“ თქვენ კი როგორა ფიქრობთ, მეგობრებო?.

ისინი ყინულოვან ოკეანეში იყვნენ! აქ საშინლად ციოდა. მშვენიერი სინათლე მოჰფენოდა არემარეს. ,,ასეთი ნათება ჩვენ ჯერ არ გვინახავს!“ — წამოიძახეს წვეთებმა. ეს იყო ჩრდილოეთის ციალი. ის ანათებდა თეთრად, მწვანედ და წითლად.

ჰიუდორი, აკვა და ოო მხიარულად თამაშობდნენ ცივ წყალში. თან განუწყვეტლივ მიხტოდნენ დიდი და თეთრი მთისაკენ. ეს აისბერგი იყო, ყინულზე იწვნენ დიდი, თეთრი ცხოველები — თეთრი დათვები. წვეთები პირველად ხედავდნენ მათ. დიდი თეთრი მამა დათვი, დედა დათვი და მათი პატარა დათუჩა ყოველ დილით ბანაობდნენ ცივ წყალში. ,,ეი, თქვენ, წყლის პატარა წვეთებო! — დაიყვირა ბებერმა თეთრმა დათვმა, — სულ უნდა ირბინოთ და იმოძრაოთ, თორემ თქვენც გაიყინებით!“

,,მერე?“ — ჰკითხა ყველაზე უფრო დიდმა წვეთმა ჰიუდორმა.

,,მერე თქვენც ჩაიყინებით და აღარ შეგეძლებათ ზღვაში ცურვა“.

ჰიუდორი, აკვა და ოო წყალში ჩახტნენ და ტალღებთან ერთად აქეთ-იქით ისე სწრაფად ცურავდნენ, როგორც თევზები. მათ ძალზე მოეწონათ ჩრდილოეთი. ზაფხულობით იქ მზე დიდი ხნის განმავლობაში არ ჩადიოდა, ღამეც დღესავით ნათელი იყო, ზამთარში კი მრავალ დღეს არ ამოდიოდა და მაშინ ღამეები იყო ძალიან, ძალიან გრძელი.

მრავალი წელი ცხოვრობდნენ წყლის წვეთები ცივ ყინულოვან ოკეანეში და, აი, მოულოდნელად მოვიდა

## მეცხრე თავგადასავალი:

თბილი ქარი უბერავდა. აკვას, ოოს და ჰიუდორს სულ უფრო და უფრო შორს მიერეკებოდა ტალღებთან ერთად, და, აი, უცბად სამი წვეთი ორთქლად გადაიქცა და ღრუბლებთან აფრინდა.

,,სადა ვართ ახლა?“ — იკითხა პატარა, მრგვალმა ოომ.

,,მე თქვენ აზიაში მიგაქროლებთ, მე თქვენთან ერთად ალტაის მთიანეთს მინდა გადავუფრინო. — ჩქარა! ჩქარა!“ — დაიყვირა ქარმა და ღრუბლები ალტაის მთებისაკენ გარეკა.

ალტაის მთები ძალზე მაღალი იყო, ღრუბელი წამოედო მას და გაჩერდა. მთის მწვერვალზე ძალიან ციოდა. ჰიუდორს, აკვას და ოოს უნდოდათ კვლავ წვიმის წვეთებად ჩამოცვენილიყვნენ მიწაზე, მაგრამ ახლა აღარ შეეძლოთ ეს.

,,რას დაემგვანე! — წამოიყვირეს აკვამ და ოომ, როცა თავიანთ ძმას ჰიუდორს შეხედეს.

,,განა ლამაზი არა ვარ?“ — იკითხა ჰიუდორმა და ღრუბლიდან ჰაერში გადმოფარფატდა. ჰიუდორი ახლა ვარსკვლავსა ჰგავდა — თეთრ, ლამაზ ვარსკვლავს. ის უკვე წვეთი აღარ იყო. ის იყო... ფიფქი.



,,ეს ხომ ჩვენც შეგვიძლია!“ — წამოიყვირეს აკვამ და ოომ და ჩქარა ისინიც თეთრ ყვავილებად გადაიქცნენ.

ისინი მხიარულად ცეკვავდნენ და თამაშობდნენ ჰაერში, მთის მწვერვალებს ზემოთ. მაგრამ ბოლოს გადახდათ

## მეათე თავგადასავალი:

აღმოსავლეთიდან ძლიერმა, ცივმა ქარმა დაუბერა და თეთრი ფიფქები დიდი ტყეებისა და ციმბირის ფართო სტეპების თავზე დასავლეთისაკენ გადარეკა. ასე მიიყვანა ურალამდე და მერე ისევ სამხრეთისაკენ უყო პირი. აქ უკვე აღარ ციოდა და ლამაზმა ფიფქებმა მალე შეამჩნიეს, რომ ისინი აღარ იყვნენ თეთრი ფიფქები. ისინი უწინდებურად წყლის პატარა წვეთებად გადაიქცნენ.

ეს კარგი თავგადასავალი იყო! მრავალი დღე და კვირა იფრინეს ჰიუდორმა, აკვამ და ოომ თეთრ ფუნჩულა ღრუბელთან ერთად ჰაერში. ერთ მშვენიერ დღეს კი მილიონობით თავის და-ძმებთან ერთად მიწაზე ჩამოცვივდნენ.

,,წვიმს!“ — თქვეს ადამიანებმა მიწაზე. ეს იყო კოკისპირული წვიმა, რომელმაც ყველა გაახარა.

მზე აქ ძალიან აცხუნებდა. ყველგან ლამაზი ხეები იზრდებოდა. კარგახანს წვიმდა, მაგრამ აქ არ იცოდა წყალდიდობა. ადამიანებს გახარებული სახეები ჰქონდათ. ყველა ბედნიერად გამოიყურებოდა.

,,რა ჰქვია ამ ქვეყანას?“ — ერთხმად იკითხეს ჰიუდორმა, აკვამ და ოომ. ,,ეს კავკასიაა“, — უპასუხეს სხვა წყლის წვეთებმა. და, აი, წყლის პაწაწინა სამ წვეთს გადახდა

## მეთერთმეტე თავგადასავალი:

ჰიუდორი, აკვა და ოო სხვა წვეთებთან ერთად მიწაზე იწვნენ. რბილმა მიწამ სიამოვნებით შეიწოვა ისინი. მიწაში წყლის წვეთებს უამრავი ხის ახალგაზრდა ფესვები შემოხვდათ.

,,მოდით აქ! მე თქვენ დიდხანს გელოდით!“ — დაიყვირა ერთმა ფესვმა.

,,შენ ვინა ხარ?“ — ჰკითხა მას პატარა, მრგვალმა ოომ.

,,მე ერთი ახალგაზრდა ფორთოხლის ხის ფესვი ვარ, ჩემს ხეს უნდა დიდი და ღონიერი გახდეს, და მე მას ბევრი წყალი უნდა მივაწოდო. მოდით ჩემთან! მოდით ჩემთან!“

ასე მოხვდნენ ჰიუდორი, აკვა და ოო ფესვის გავლით ღეროში და ახალგაზრდა ფორთოხლის ხის ფოთლებში. ეს იყო ახალგაზრდა ფორთოხლის ხე, დახუნძლული ტკბილი ნაყოფით, ძალიან ლამაზი, მრგვალი, ოქროსფერი იყო მისი ნაყოფი!

## ჩვენი წიგნები

### გიორგი წერეთელი

#### დილაო-დილა

ჩახჩახა მზითა და ლურჯთვალა იის პირველი გაღიმებით, საქართველოს სადიდებელი სიმღერებითა და ნათელი მომავლის იმედით სავსეა გიორგი წერეთლის შემოქმედება. ამ პოეტის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის — მისი ლექსები ხშირად იბეჭდება არა მარტო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, არამედ ცალკე წიგნებადაც. გასულ წელს კი „ნაკადულმა" გამოსცა გ. წერეთლის ლექსების მეთოთხმეტე და ყველაზე სრული კრებული „დილაო-დილა", რომელიც პოეტის შემოქმედებითი გზის ერთგვარი შეჯამებაა (წიგნში 600-ზე მეტი ლექსია შესული).

კრებულის პირველივე ლექსი „მზის საგალობელი" თითოეული ჩვენთაგანის, ყოველი მამულიშვილის სათქმელს ამბობს: „სხვა მხარეზე უფრო ადრე მსურს შენი დღე გავათენო, გაგაღვიძო, გაგაფხიზლო, გაღორძინო, გაჯანმრთელო... სანამ ჩავალ, ჩემი თავი შემოგევლოს, საქართველოვ!" აი, ასეთი წრფელი გრძნობითა და ლაღი რიტმით




არის დაწერილი გ. წერეთლის ლექსების უმრავლესობა.

კრებული რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება: „მზის საგალობელი", „ჭინჭილა და კვანწია", „სწავლა და შრომა", „ვინ რა თქვა", „ორთა"... მათ მოსდევს მხიარული, გასართობი, სათამაშო თუ ენის გასატეხი ლექსები (ე. წ. მაჯამურა, მისარითმები, გასათვლელები, თავსატეხები და სხვ.)

წიგნს თან ერთვის კრიტიკოს რევაზ მიშველაძის გულთბილი და მართალი წერილი გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე.

### შოთა ამირანაშვილი

#### რიცხვთა მარულა

შეხედე საასპარეზოდ,
დაძრულა რიცხვთა
მარულა,
ზოგი თუ მოჩანს
აშკარად,
ზოგიც მიჰყვება
ფარულად.

„პიონერის" მკითხველს „ცხრაკლიტულიდან" ახსოვს ეს სტრიქონები — ჩვენი ჟურნალი ამ სათაურით ხშირად აქვეყნებს ლექსად დაწერილ ამოცანებს. ახლა ავტორს ასზე მეტი ამოცანა ცალკე წიგნად გამოუცია. კრებულში გამოქვეყნებული ამოცანები დაგეხმარებათ დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევებისა და უნარის გამომუშავებაში. გონებას გაიწაფავთ ზეპირ ანგარიშში, მათემატიკას შეგაყვარებთ და როგორც პოეტური ნაწარმოები, ესთეტიკურ სიამოვნებასაც მოგგვრით.

წიგნში შეტანილია აგრეთვე მხიარული ლექსები, თვალწინ წარმოგიდგებათ თქვენი ყოველდღიური ცხოვრების სურათები. გულიანად გაგეცინებათ, უფრო კარგად გაარჩევთ ავსა და კარგს, დაგეხმარებათ, რათა გაიზარდოთ სამართლიან, შრომისმოყვარე ადამიანებად.




---

ჰიუდორს, აკვას და ოოს ერთად ყოფნა უნდოდათ და ამიტომ ერთად ავიდნენ ერთი ფორთოხლის ტკბილ ნაყოფში.

მალე ფორთოხალი დამწიფდა და მოსავლის აღების დრო დადგა. და, აი, წვეთებს გადახდათ

### ბოლო თავგადასავალი:

ერთ დღეს ქალიშვილები მოვიდნენ ფორთოხლის ბაღში. მათ შავი თვალები და შავი თმები ჰქონდათ. მხიარულად იყვნენ და იცინოდნენ. ერთმა გოგონამ, რომელსაც სახელად ანა ერქვა, ის ფორთოხალი მოწყვიტა, რომელშიც ჩვენი ნაცნობი სამი წვეთი იყო.

„რა ლამაზი ფორთოხალია! — წამოიძახა გახარებულმა ანამ, — ეს ფორთოხალი პატარა ბავშვებს უნდა გავუგზავნოთ საჩუქრად. ძალიან გაუხარდებათ!"

და გოგონები ასეც მოიქცნენ. შეფუთეს ფორთოხალი, რომელშიც სამი წვეთი იყო და ყუთში ჩადეს, სადაც მათთან ერთად კიდევ მრავალი ფორთოხალი ეწყო. აქ ბევრი, ძალიან ბევრი ფორთოხლით სავსე ყუთი იდო.

მატარებელმა ტკბილი ფორთოხლით სავსე ყუთები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაში წაიღეს...

მაგრამ სად მოხვდნენ ჩვენი მეგობრები — ჰიუდორი, აკვა და ოო, ეს ჩვენ არ ვიცით. იქნებ თქვენ იცოდეთ, მეგობრებო?

ასეთია ჩვენი ამბის დასასრული. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს ჰიუდორის, აკვას და ოოს მოგზაურობის დასასრული იყოს, პატარა წყლის წვეთები ისევ ცხოვრობენ, მაგრამ სად? თქვენ ხომ არ გინახავთ?

●

### ძვირფასო მეგობრებო!

თქვენ ყურადღებით მისმენდით, ამიტომ მინდა წვეთების უცნაურ სახელებზე გითხრათ. „ჰიუდორი" ბერძნული სიტყვაა და „წყალს" ნიშნავს, „აკვა" ლათინური სიტყვაა, ნიშნავს „წყალს". „ოო" ფრანგული სიტყვაა და ისიც „წყალს" ნიშნავს. ასე, რომ წყლის სამივე წვეთს „წყალი" ჰქვია. და, რა თქმა უნდა, ასეც უნდა ერქვათ. ისინი ხომ წყლის წვეთები არიან!

თარგმნა ქეთინო მელქაძემ,
თბილისის უშინსკის სახელობის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, VII2 კლასი.

# ეგოისტური გრძნობა და შთამომავლობის აღზრდა ცხოველებში

„მოვალეობის“ გრძნობა აიძულებს ცხოველებს „თავი შეიწუხონ“, გააკეთონ ისეთი რამ, რაც, საეჭვოა, სიამოვნებას ანიჭებდეს მათ. აქ გამორიცხულია ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელი ურთიერთსიყვარული, ოჯახური ტრადიციების გაგრძელების სურვილი, მოხუცებულობაში მხარდაჭერის იმედი ან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესი. შთამომავლობაზე ზრუნვა პრიმიტიულ არსებებში სრულიად უანგარო ხასიათისაა და როგორი ინსტინქტურიც უნდა იყოს, მაინც დიდი დაფასების ღირსია.

ცნობილი ფაქტია, რაც უფრო განვითარებულია ცხოველი, მით უფრო კარგი მშობელია, მაგრამ გამონაკლისი ყველა კანონში არსებობს: გველები თევზებზე უფრო განვითარებული არსებები არიან, მაგრამ თევზების ზოგიერთი სახეობის მამლის შედარება ამავე სქესის გველებთან შეუძლებელია. ეს უკანასკნელები სრულიად ინდიფერენტულნი არიან შთამომავლობის მიმართ. უფრო მეტიც, გველების ბევრი სახეობის დედლებიც სრულ გულგრილობას იჩენენ შვილებისადმი. ქვეწარმავალთა უმრავლესობა კვერცხებს დებს მიწაში, ქვის ძირებში, კლდეთა ნაპრალებში, ან ლპობად ნაგავში, სადაც ტემპერატურა ხრწნის პროცესთან ერთად მატულობს. გვხვდებიან ცოცხალმშობი გველებიც, მაგრამ მათი ახალშობილები გაჩენისთანავე სტოვებენ დედას.

ამ მხრივ ორიგინალურია პიტონი. დედალი პიტონი სიგრძით ცხრა მეტრს აღწევს და თავისი ფოლადზე ძლიერი სხეულით ადვილად შეუძლია ხარის გაგუდვა. და აი, ეს უზარმაზარი მასა დაეხვევა რგოლებად, გადაეფარება დადებულ კვერცხებს და იწყებს „კრუხობას“. ასე გაუნძრევლად წევს იგი და ერთი წუთითაც არ ტოვებს კვერცხებს, შიმშილის მოსაკლავადაც კი არ მიდის. კრუხობისას ცხოველის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურაზე უფრო მაღლა იწევს. ასე და ამგვარად უვლის დედალი პიტონი 30-40 კვერცხს. გამოჩეკილი წიწილები გარკვეულ ხანს ისევ დედის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

ბევრს დააინტერესებს, თუ რატომ არის გველების უმრავლესობა შთამომავლობის მიმართ გულგრილი. არსებობს მოსაზრება, რომ გველის წიწილს გაჩენისთანავე შეუძლია თავის დაცვა; ამის გარდა, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ბუნება ისეთ დონეზე არეგულირებს გველების რიცხობრიობას, რომ ფაუნის სამყაროში წონასწორობის დარღვევა არ ხდება. მშობლები რომ უფრო ყურადღებიანები ყოფილიყვნენ, იქნებ გველები მეტისმეტად გამრავლებულიყვნენ. ბუნებაში ხომ ამ ქვეწარმავლებს არც თუ ისე ბევრი შემავიწროებელი მტერი ჰყავთ.

ცხოველთა სამყაროში ფრინველებისთანა მშობლობას ვერავინ დაიკვეხნის, ამიტომაც ფრინველი — მშობლები კეთილშობილების ეტალონად არიან მიჩნეულნი. ფრთოსნები, განურჩევლად სქესისა, უდიდეს სასიცოცხლო ენერგიას ხარჯავენ ბარტყების აღსაზრდელად, ხშირად კი თავსაც ანაცვალებენ ამას.

ცნობილია, რომ ფრთოსანთა ბევრი სახეობა პირველი თაობის აღზრდის შემდეგ სულ მალე იღუპება. პატარების აღზრდის სირთულე ხშირად აღემატება მშობელთა ფიზიკურ შესაძლებლობებს და ამაში გასაკვირი არაფერია. თავისი ცხოვრების პირველ დღეებში ბარტყი ძალზე ინტენსიურად ვითარდება, ყოველდღიურად მიღებული საკვები აღემატება მის წონას. ბარტყის ზრდასთან ერთად ეს პროპორცია მცირდება, მაგრამ თუკი ერთ ნაჩეკში ოთხი, ხუთი, ექვსი ან მეტი ბარტყია, საკვების რაოდენობაც წარმოუდგენლად იზრდება. ამიტომ ოთხი, ექვსი ბარტყისაგან შემდგარი თაობისათვის სამხრეთის ქვეყნებში მცხოვრები ბელურები საკვებს ეზიდებიან დილის სამი საათიდან საღამოს ათ საათამდე. პაწაწინა წივკანების ზოგიერთი სახეობა, რომლებიც სულ რაღაც თხუთმეტ-ოც გრამს იწონიან, ბარტყების გამოსაკვებად დღეში ოთხას სამოცდათხუთმეტ გაფრენას ახდენენ.

ეს ყველაფერი ეხება ისეთ ფრინველებს, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში ერთ თაობას იძლევიან, მაგრამ ზოგს ხომ წელიწადში ორი და სამი ნამრავლიც ჰყავს, ამასთან პირველი თაობა ჯერ „დავაჟკაცებულიც“ არ არის, ისევ მშობლების ყურადღებას საჭიროებს, რომ მეორე თაობა ხდება გამოსაკვები. ამ შემთხვევაში დედალი მეორე ბუდეს აგებს, კვერცხებს დებს, მამალი კი პირველი ნამრავლის მოვლა-პატრონობას კისრულობს. ამის გარდა, როგორც კი მეორე თაობის ბარტყები დაიჩეკებიან, მამალი ეხმარება თავის მეწყვილეს პატარების გამოკვებაში.

და, აი, ბარტყები დაფრთიანდნენ, ჯერ კიდევ პირველი გაუბედავი გადაფრენა გააკეთეს ბუდის ახლომახლო, შემდეგ თანდათან გაიწაფნენ, გათამამდნენ, თითქოსდა დროა დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჰყონ ხელი, მაგრამ მშობლები შვილების დაფრთიანების შემთხვევაშიც არ ისვენებენ და ორი-ხუთი კვირის განმავლობაში ჰკვებავენ ბარტყებს. ეს ეხება ჩვენში მობუდარ ფრინველთა უმრავლესობას. როგორც ჩანს, ეს დრო აუცილებელია იმისათვის, რომ ბარტყები დაეუფლონ სხვადასხვა ხერხით საკვების მოპოვებას.

მწერიჭამია ფრინველები, სახელდობრ, მერცხლები და ნამგალები, გარკვეულ ხანს თავიანთ პატარებს პირდაპირ ჰაერში კვებავენ, ნისკარტიდან ნისკარტში მათ საკვებს აწვდიან. მოგვიანებით მშობლები საკვებს ფრენის პროცესშივე გადმოისვრიან. ეს უვარჯიშებს ბარტყებს სისწრაფის განვითარების, მანევრირების, და ბოლოს, მსხვერპლის დაჭერის უნარსაც.

ფრინველებთან ერთად განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ შთამომავლობის მიმართ და დიდ დროს უთმობენ მის აღზრდას ძუძუმწოვრები. რაში გამოიხატება ეს ზრუნვა? უპირველესად მოზარდთა კვებაში, მათთვის მტრისაგან თავდაცვის ათასგვარი ხერხის სწავლებაში და ა. შ. რ. ფარინგტონის მიხედვით ძუძუმწოვრები სხვა ცხო-

დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 1-ში.

ველებისაგან განსხვავდებიან „ბავშვობის“ ასაკის ხანგრძლივობით და მშობლების მხრით თავგამოდებული ზრუნვით. ძუძუმწოვართა პატარები სხვა ცხოველებისაგან, მაგალითად, გველებისაგან განსხვავებით მზად არ არიან ცხოვრებისეული სიძნელეებისაგან თავის დასაცავად. რაც უფრო მაღლა დგას ცხოველი ევოლუციის კიბეზე, მით უფრო ნაკლებ როლს თამაშობს მის ცხოვრებაში ინსტინქტი და წინა პლანზე ინაცვლებს ინტელექტი და აღზრდა.

ფრინველებთან შედარებით ძუძუმწოვრები მეტ წვრთნას მოითხოვენ თუნდაც იმიტომ, რომ ფრთოსნებს თავის გადასარჩენად აქვთ ცა და ხეთა კენწეროები, ძუძუმწოვრები კი იძულებულნი არიან სულ უფრო შეეგუონ ცივილიზაციით გამოწვეულ შევიწროებას.

ს. კერიგერი ფიქრობს, რომ როგორც ადამიანთა ჩვევები და ტრადიციები ქმნიან კულტურას, ცხოველებშიც ხდება „კულტურის“ ფორმირება. მისი გადაცემა თაობებში კი იმავე არხებით წარმოებს, როგორც ადამიანებში. ესაა მშობლების მხრივ მთელი რიგი მაგალითების დემონსტრირება. ხმის მქონე ყველა ცხოველი გამოსცემს გარკვეული შინაარსის მქონე ბგერებს, ამასთან, ამ სიგნალებს თან ერთვის პოზები, ჟესტები და მოქმედებები. რაღა თქმა უნდა, ცხოველებისათვის აუცილებელ მთელ



დომბა

ამ უნარ-ჩვევათა შეთვისება ხდება დედასთან, ზოგჯერ კი მამასთან ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობით.

გარეულ ცხოველთაგან საუკეთესო მშობლები არიან მურა დათვები. მათ შესანიშნავად აქვთ განვითარებული შთამომავლობის — ბელების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

დედობა იოლი საქმე როდია. აბა, გაეცი პასუხი შვილების ათას კითხვას: სად გვხვდება ყველაზე ანკარა წყაროები? ყველაზე ნესტიანი მდელოები? რატომაა აქ ბალახი ყველაზე წვნიანი და გემრიელი? სად შეიძლება ყველაზე გემრიელი ფესვების ამოთხრა? სად შეიძლება ზაფხულობით სხვადასხვა ხილის და კენკრის, შემოდგომაზე — თხილის, წაბლისა და რკოს მოპოვება? სად არის ყველაზე მეტი მინდვრის თაგვი? სად ცხოვრობენ თრითინები? როგორ უნდა მოიქცე, თუ ხის ფუღუროში თაფლი იპოვნე?

რამდენადაც ძუ დათვმა ყველაფერი ეს თავის დროზე დედისგან გაიგო და დაისწავლა, ახლა ვალდებულია ეს ცოდნა თავის პატარებსაც გადასცეს.

ცხოველთა მოზარდებს შორის დათვის ბელები ყველაზე ცელქები არიან. იმდენად, რომ აზარტში შესულები წარამარა ვარდებიან სახიფათო სიტუაციებში, ძუმ ეს შესანიშნავად იცის, ამიტომ მუდამ ფხიზლად ადევნებს თვალს თავის ონავრებს და, რაც მთავარია, ასწავლის მათ ყურის გდებასა და მორჩილებას.

როგორ აკეთებს ის ამას? პირველ რიგში დედა ცდილობს დასაქმოს შვილები, ასწავლოს, თუ როგორ უნდა „საქმის კეთება“. ცელქობა ცელქობად, მაგრამ, როგორც ჩანს, ბელებს მოსწონთ უფროსებთან „საქმიანი კონტაქტიც“. და თუ დღეს ერთ-ერთმა მათგანმა თაგვი მოიგდო კლანჭებში, მეორე თევზის დაჭერას ახერხებს. ეს კი ამხნევებს, სტიმულს აძლევს მოზარდებს. ისინი თანდათანობით იგებენ საკუთარი „შრომით“ მომკილი მოსავლის გემოს, შემთხვევითი წარმატებები თანდათანობით ჩვევებში გადაიზრდება.

მგელი — შესანიშნავი მამა — ასწავლის თავის ლეკვებს ჯგუფური ნადირობის ეშმაკურ ხერხებს. ნადირობისას მგელი-მამის დარიგება დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: „შენ დეიდაშენთან ერთად ირმის ჯოგს მარცხნიდან დაუვლი, შენ კი მარჯვნიდან დაეხმარები დედას თავდასხმაში, ბიძათქვენი წინ მოექცევა ჯოგს და პირდაპირ მისკენ გაექანება, რომ შეაშინოს და გააჩეროს ირმები. შემდეგ მე თვითონ შევვარდები ჯოგის შუაგულში და ვაიძულებ ირმებს სხვადასხვა მხარეს გაიფანტონ“. მგლის ლეკვებს დამატებითი ახსნა-განმარტება აღარ სჭირდებათ, იციან, რომ მათი პირველი მოვალეობაა თავს დაესხან ბებერ და ავადმყოფ ირმებს, ანდა დედებს ჩამორჩენილ ნუკრებს. ეს ნადირობის თანდაყოლილი ინსტინქტია, მგლის ქცევის განუყრელი ნაწილია, ჯოგი რომ გაფანტო და დააბნიო, მსხვერპლის ხელში ჩაგდების მიზნით, — ამ ხერხის დაუფლება ერთ რამედა ღირს.

საინტერესოა ისიც, თუ სანამდე გრძელდება ძუძუმწოვრებში ესოდენ თბილი დედაშვილური დამოკიდებულება! როგორც კი შთამომავლობა დამოუკიდებელ ჩვევებს შეითვისებს, ხდება მშობლების და შვილების დაშორება. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება ყოველგვარი განცდებისა და ემოციების გარეშე, არასოდეს არ არის უეცარი — უბრალოდ, დამოკიდებულების წინანდელი, ძველი ნორმები თანდათან იშლება და წინა პლანზე გადმოინაცვლებს ახლად წარმოქმნილი ინტერესები. ზრდასრულ, დავაჟკაცებულ, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზადმყოფ ცხოველს გაცილებით უფრო ფართო ინტერესები უჩნდება, ვიდრე ოჯახური წრეა, ეს არის გარემო სამყაროს უფრო ფართო შეცნობის, შესაფერისი წყვილის მოძებნის და შემდგომ საკუთარი ოჯახის შექმნის ინტერესები.

ა. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ფერეიდანი

ცნიერი მუშაკი გახდეს. თუმცა, რა ხანია, ის უკვე არის მეცნიერი მუშაკი. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს უაღრესად ნიჭიერი კაცი სულ მალე საკანდიდატო დისერტაციას დაიცავს. შემდეგ კიდევ ახალ და ახალ საფეხურებზე ამაღლდება მეცნიერების ტაძარში.

ამ გზაზე რეზო მარტო როდია, მეცნიერებისაკენ მისწრაფებას სხვა ფერეიდნელებიც ამჟღავნებენ. მოდით, გზა დავულოცოთ მათ მშობლიური ხალხის სამსახურში.

აქ ერთი ამბავიც უნდა გავიხსენოთ.

ამ რამდენიმე წლის უკან სოფელ შაშიანში ფერეიდნელების დაბრუნებით გამოწვეულ დიდ სიხარულს ძლივს ვიოკებდით, ისინიც გამოხატავდნენ მადლიერების გრძნობას იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩამოსვლის პირველი დღიდანვე განსაკუთრებული სიყვარული და მზრუნველობა შეაგება მათ, კეთილად მოიგონებდნენ ღვაწლმოსილ ადამიანებს, საბავშვო ბაღის გამგეს პედაგოგ თინა ლომიძეს, პენსიონერ ინჟინერს ალექსანდრე ცუცქირიძეს და სხვებს... ფერეიდნელებს შორის ბევრი თქვენი ასაკისაც იყო. ერთ მათგანს ვკითხე: ქართულად სწავლა ხომ არ გიჭირს-მეთქი? მიჭირსო, — გულახდილად მითხრა. მაგრამ ერთ წელში ისე გავიწაფები, რომ აბა, მაშინ ვინმე გამეჯიბროსო.

მას შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა და ისევ ვნახე ის ფერეიდნელი ბიჭი. რომ გაიგო ჩემი სტუმრობა, ნიშნების ფურცელი გამიშალა და მომაწოდა. სულ ხუთები ჰქონდა ჩაწიკწიკებული.

ასეა ყოველთვის: დიდ სიყვარულს დიდი წარმატებები მოაქვს. მშობლები კარგი, სინდისიერი შრომით უპასუხებენ საბჭოთა ხელისუფლების დიდ ამაგს, შვილები სანიმუშო სწავლით გამოხატავენ სამშობლოს სიყვარულს.

„აყვავდი, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო...“

და ბოლოს მინდა თქვენ მოგმართოთ, ჟურნალ „პიონერის“ მკითხველებო.

მოხდა დიდი რამ, სამშობლოში დაბრუნდნენ და კვლავ და კვლავ ბრუნდებიან თითქმის ოთხასი წლის წინათ დაკარგული თქვენი დები და ძმები. მათმა ცხოვრებამ ფეოდალურ სამყაროში განვლო. ამიტომ ძნელია, სწრაფად აუღონ ალღო ჩვენს ცხოვრებას. გამორიცხული არაა, ზოგჯერ სერიოზული გაუგებრობაც წარმოიშვას. ფერეიდნელები რომ უფრო სწრაფად გაერკვნენ ჩვენი ცხოვრების არსში, ამისათვის საჭიროა დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოვიჩინოთ. ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულება იქნება მათთან გულალალი მეგობრობა. მისწერეთ მათ, დაუმეგობრდით, შეიყვარეთ და გული გაუთბეთ, გული, რომელშიც ოთხასი წლის სევდაა დაგუბებული.

წერილები შეგიძლიათ ასე გაგზავნოთ: გურჯაანის რაიონი, სოფელი ჩუმლაყი, საშუალო სკოლა. ანდა კიდევ: გურჯაანის რაიონი, სოფელი ჭანდარი... სოფელი შაშიანი, საშუალო სკოლა, საგარეჯოს საშუალო სკოლა... ფერეიდნელ დებსა და ძმებს.

ჩვენი სამშობლოს ახალო თაობავ, იცოდეთ, რომ თუ თქვენ გულწრფელად იმეგობრებთ მათთან, ამით ძალიან დიდ საქმეს გააკეთებთ.





ანგოლის ხალხის ბრძოლა გათავისუფლებისათვის თხუთმეტ წელზე მეტხანს მიმდინარეობდა და 1975 წლის 11 ნოემბერს დამთავრდა. იმ დღეს ანგოლის პრეზიდენტმა აგოსტინიო ნეტომ საზეიმოდ გამოაცხადა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დაარსება. ანგოლის ახალ ხელისუფლებას დიდი ამოცანები ჰქონდა გადასაჭრელი. საჭირო იყო გაეწმინდათ სამხრეთის რაიონები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებისაგან და ჩრდილო რაიონები — ზაირის ჯარებისაგან. ბრძოლა მეტად მკაცრი იყო და ანგოლის ხალხის გამარჯვებით დამთავრდა. ანგოლის ხალხი ახალი ცხოვრების აშენებას შეუდგა. იმთავითვე გადაწყდა უფასო სამედიცინო მომსახურების საკითხი. დაიწყო ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. ცხადია, ახალგაზრდა რესპუბლიკამ პირველ ყოვლისა ზრუნვა დაიწყო ბავშვებზე და მოზარდებზე — ანგოლის მომავალზე.

1960 წელს ანგოლაში ჩამოყალიბდა პიონერული ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შევი-




## თვითმფრინავის სისწრაფით.

ეტნის უკანასკნელი ამოფრქვევის დროს იტალიელმა და ფრანგმა მეცნიერებმა მოახერხეს ვულკანის კრატერიდან ამოვარდნილი გაზის სიჩქარის გაზომვა. გაზი, რომლის ტემპერატურა 1100 გრადუსი იყო ცელსიუსით, საათში 950 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობდა.

## ასვლა აკრძალულია

სამხრეთ ამერიკის ანდების ერთ-ერთი მწვერვალი ანკაგუა დიდი ხანია მთამსვლელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ანკაგუა არცთუ ისე მაღალია,მაგრამ მასზე ასვლა მაინც ერთობ ძნელია — კლდეები ძალზე ციცაბოა, ბევრი ნაპრალია, ხშირია ქვათაცვენა, წყდება ზვავები... მთამსვლელები სხვა სიძნელეებსაც უჩიოდნენ. ამ თოვლიან მწვერვალზე არის ზონა, სადაც სპორტსმენებს ჰალუცინაციები ემართებოდათ, გულისცემა უჩქარდებოდათ, ხველებისაგან ლამის იგუდებოდნენ. არავინ უწყოდა, რა იყო ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზი, სანამ ანკაგუაზე არ ავიდა ამერიკელი სწავლული დ. სმიტი, მან გამოარკვია, რომ ეს მწვერვალი ვულკანია, რომელიც ილვიძებს და ნაპრალებიდან შხამიან გაზებს აფრქვევს. ხწო-

დნენ მპლა-ს წევრთა (ასე ეწოდება შემოკლებით ანგოლის განთავისუფლებისათვის მებრძოლ სახალხო მოძრაობის პარტიას) შვილები.

ანგოლის განთავისუფლების შემდეგ პიონერული ორგანიზაცია თანდათან გაიზარდა და ახლა ანგოლელ ბავშვთა 70 პროცენტი პიონერია.

ანგოლის პიონერული ორგანიზაციის ისტორია ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლით დაიწყო, დაუვიწყარია პიონერის აუგუსტო გოგულას სახელი.

ერთხელ აუგუსტო სკოლაში მიდიოდა. გზაზე პორტუგალიელ კოლონიზატორთა პატრულს გადაეყარა. პორტუგალიელმა ჯარისკაცებმა დაკითხვა დაუწყეს — სად მიდიხარ და რატომო. როცა თქვა, სკოლაში მივდივარო, ახლავე წინ გაგვიძეხიო — უბრძანეს. აუგუსტომ არ აჩვენა ჯარისკაცებს სკოლისაკენ მიმავალი გზა, არც წინ გაუძღვა მათ, რადგან იცოდა, სკოლას დაარბევდნენ. იგი წამებით მოჰკლეს. მისი სიკვდილის დღე — 10 დეკემბერი მპლა-ს ცკ გადაწყვეტილებით პიონერთა დღედ გამოცხადდა.

იმ დროს, როცა ქალაქ ლუანდაში მპლა-ს და გამცემლური ორგანიზაციის — უნიტას შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, ლუანდის პიონერები ძალზე ბევრს ეხმარებოდნენ უფროსებს. იმ ბრძოლების მონაწილეებს არაერთხელ უამბნიათ ჩემთვის, თუ როგორ მოჰქონდათ ბავშვებს მებრძოლებისათვის სამხედრო საჭურველი, სურსათი, როგორ თამამად მიმოდიოდნენ ცეცხლის ხაზად ქცეულ ქუჩებში. უდედმამოდ დარჩენილნი კი საერთოდ მებრძოლებთან ერთად ცხოვრობდნენ.

ანგოლისათვის იმ მძიმე დღეებში, როცა სამხრეთ აფრიკის კავშირის ჯარმა საზღვარი გადმოლახა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა პიონერი, სახელად — ზეგა. იგი სხვებს არ გაჰყვა და მპლა-ს მებრძოლებთან ერთად საბრძოლველად დარჩა. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი შეიპყრეს, აწამეს და დახვრიტეს სამხრეთაფრიკელმა ჯალათებმა.

ახლა ანგოლელი პიონერები ქვეყნის მეურნეობის აღდგენაში მონაწილეობენ, დღისით თვითონ სწავლობენ, საღამოთი კი — უფროსებს ასწავლიან სკოლებში.

ამას წინათ შეიქმნა ანგოლის პიონერთა ხელმძღვანელობა. მას ეწოდა „ეროვნული ვარსკვლავი“.

ანგოლელ პიონერთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა — ისწავლონ რაც შეიძლება კარგად, იზრუნონ ხალხის კულტურის ამაღლებისათვის და არ მოადუნონ სიფხიზლე შინაური და უცხო მტრის მიმართ. პიონერები უფროსებთან ერთად იმეორებენ: „ბრძოლა გრძელდება, გამარჯვება გარდუვალია!“... ბრძოლა გრძელდება, რადგან ჩვენი მეზობელი ნამიბიის, სამხრეთ როდეზიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხები ჯერ კიდევ არ არიან განთავისუფლებულნი და უნდა დავეხმაროთ მათ.

ჟოზე ნელუმბა.

რედ ისინი მოქმედებენ სპორტსმენებზე. ამჟამად ანკაგუაზე ასვლა აკრძალულია.

### თურმე გრიგალს სარგებლობაც მოაქვს

ამ რამდენიმე ხნის წინათ ძლიერი გრიგალი დაატყდა თავს ინდოეთის ნავსადგურ ბჰავანაგას. გრიგალმა ზარალი კი არ მიაყენა იქაურობას, პირიქით, დიდი სარგებლობა მოუტანა. საქმე ის არის, რომ მან რამდენიმე წამში ათასობით ტონა ქვიშა, ქვა და ლამი აიტაცა ყურის ფსკერიდან და ოკეანეში მიმოფანტა, ამის შედეგად ნავსადგური რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრით გაფართოვდა და თანაც სამი მეტრით უფრო ღრმა გახდა. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ნავსადგურის ამგვარ გაწმენდასა და გაფართოებას სულ ცოტა ორი წელი მაინც დასჭირდებოდა.



### ხმის ენერგია

ინგლისელმა სწავლულებმა გამოიანგარიშეს იმ ხმის ენერგია, რომელიც ფეხბურთის მატჩის დროს „გამოიყოფა“ სტადიონზე, როცა 100 ათასი მაყურებელი ერთდროულად გაჰყვირის: „გო-ო-ლი!“ ეს ენერგია საკმარისი ყოფილა ორი ლიტრი წყლის, ანდა მთელი გუნდისთვის ყავის მოსადუღებლად.

### სპილოს გასამართლება

ძველად ცხოველთა სასამართლო პროცესი არც ისე იშვიათი იყო. თურმე ჩვენს დროშიც შეიძლება ამგვარი კურიოზების მოწმე გავხდეთ. ამას წინათ ნეპალში ორი კაცის მოკვლისათვის სასამართლოს წინაშე წარსდგა... ინდური სპილო. სიდნო ბინაიაკი (ასე ჰქვია ამ სპილოს) უცებ გახდა მთელ ქვეყანაში უაღრესად პოპულარული; მისი ფოტოსურათი ყველა ღია ბარათებით მოვაჭრე ფარდულში იყიდებოდა. ბრალდებული პროცესს ვერ დაესწრო, რადგან დარბაზში ვერ შეეტია. იგი სასამართლოს შენობის გვერდით იყო დაბმული. პროკურორი, რომელიც სპილოს ორი ადამიანის მოკვლაში, ხეხილის ბაღის დარბევასა და საცხოვრებელი სახლის დანგრევაში ადანაშაულებდა, სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. მაგრამ დამსწრე საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა. პატრონს რომ უკეთ ეკვება, სიდნო არ გაშმაგდებოდაო, იძახდნენ დამსწრეები. ერთი სიტყვით, სასამართლოს ზეგავლენით, მოსამართლე იძულებული შეიქნა ბინაიაკი გაემართლებინა და პატიმრობიდან გაენთავისუფლებინა.

### როგორ ლაპარაკობდა ნეანდერტალელი?

35 ათასი წლის წინათ, სულ ერთია, რა ენაზეც არ უნდა ელაპარაკა, ადამიანს ხმის იგივე ტემბრი ჰქონდა, როგორიც გვაქვს ჩვენ, როცა სურდო გვჭირს. ასე დაასკვნა ერთმა ინგლისელმა ანთროპოლოგმა, რომელიც იკვლევდა ნეანდერტალელის ნეშტს. ეს ტემბრი იმით არის განპირობებული, რომ ნეანდერტალელს უფრო გრძელი და ვიწრო ენა, აგრეთვე უფრო ბრტყელი სასა ჰქონდა, ვიდრე თანამედროვე ადამიანს.



ჩანთა მხრებზე კარგად არ მაგრდება — წამდაუწუმ ძირს ჩამოცურდება ხოლმე. პალტოს თუ კოსტუმს საყელოს ქვეშ კაუჭა ან სხვა რაიმე სამაგრი (ვთქვათ, ღილი) მიაკერე და ჩანთის თასმას ძირს აღარ გაუშვებს.



ფარდების ჩამოკიდების ბევრნაირი ხერხი გვიცდია. მოდი, ახლა ასეთი რამ ვსინჯოთ, მითუმეტეს, რომ ღილისა და ინგლისური ქინძისთავის („ბულავკა") გარდა სხვა არაფერი დაგვჭირდება (დახედე ნახატს).



ძნელმისადგომ ადგილას ხრახნს სახრახნისი რომ მიუყენო, ზედ ასეთი დანამატი გაუკეთე. როცა საქმეს მორჩები, რგოლს წააძრობ და დანამატს მოხსნი.



როცა წყალსადენის ონკანი მწყობრიდან გამოვა, სპილენძის ტარს ნუ გადააგდებ, მისგან მშვენიერი რბილპირიანი ჩაქუჩი შეიძლება გააკეთო.





უჟანგავი ლითონის მავთულისაგან შეგიძლია კედელზე უთოს სადგარი „თარო" გააკეთო. ასეთ მოწყობილობას ბევრი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, უთოს წამდაუწუმ ძებნა აღარ დაგჭირდება; მერე კიდევ, შეგეძლება უთო მაშინვე, ცხელი შეინახო.



## სარჩევი


ჯანგულაშვილი თ. — შესრულებია 60 წელი (ლექსი) . . 1
მირცხულავა ა. — ლენინური კომკავშირი (ლექსი) . . . . 3
მეტრეველი თ. — როგორც შორეულ სიყმაწვილეში (ნარკვევი) 4
ქოგულია ს. — გილოცავთ, ხელმძღვანელო! (ნარკვევი) . 5
კობერიძე პ. — ქურდი (მოთხრობა) . . . . . . . . . 7
აროსია ი. — საქართველოს განთიადი (ლექსი) . . . . . 12
ჩაჩანიძე რ. — ფერეიდანი (მოთხრობა, დასასრული) . . . 12
ფაილოძე ნ. — ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო! (წერილი) 17
შერაზადიშვილი ზ. — მეცხვარის ბოხოხი (თქმულება) . . 19
„აისი" . . . . . . . . . . 20
ზნეობის ანბანი — პატივისცემა — გრძნობა მოწიწებისა, პატივისა, რომელიც ეყრდნობა ამა თუ იმ პიროვნების მაღალი თვისებების, ღირსების აღიარებას . . . 21
უცხოური იუმორი (თარგმანი შ. ამირანაშვილისა) . 23
ველსკოპფ-ჰენრიხი ლ. — წყლის სამი წვეთის საოცარი მსოფლიო მოგზაურობა (ზღაპარი, თარგმანი ქ. მელქაძისა) 24
ახალი წიგნები . . . . . . . . 27
გეგეჭკორი ა. — მშობლიური გრძნობა და შთამომავლობის აღზრდა ცხოველებში (წერილი, დასასრული) . . . 28
შენი უცხოელი თანატოლები . . . . . . . . 30
„ჯადოსნური სარკე" . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკანის 3 გვ.
კროსვორდი გარეკ. 3 გვ.
ყურადღება, სტარტზე! . . . . . . . . გარეკ. 4.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ზურაბ ფორჩხიძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 23/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/II-78 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 3785. ტირ. 150.660. უე 08075.

ფასი 20 კაპიკი





© „პიონერი", 1978 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# კროსვორდი



### თარაზულად

1. ჰორიზონტის მხარე; 4. უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო შუა აზიაში; 7. ფრანგი სოციალ-უტოპისტი; 8. ინერტული გაზი; 10. ქალაქი სსრკ-ში; 12. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. იტალიელი კომპოზიტორი; 21. სრუტე ბალტიის ზღვაში; 23. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 24. მთის მწვერვალი 25. გამოუწვავი აგური, ანუ?; 26. ყურე, ანუ?; 27. სიმებიანი საკრავი; 28. ზრუნვა, წუხილი; 30. სახელმწიფო ლათინურ ამერიკაში; 33. XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი; 38. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 39. ძველი დროის ბერძნებისათვის ჰექა-ქუხილის ღმერთი; 40. დეკაბრისტი; 41. სოფელი მდ. ენგურის შესართავთან; 44. ძაღლი, ანუ; 45. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი; 46. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 47. რაიმე გამტარში ელექტრონების აღძვრა.

### შვეულად:

2. ჰაერის გარსი; 3. დიდი ქართველი მწერალი: 4. მდინარე საფრანგეთში; 5. საბჭოთა კოსმონავტი; 6. ბოსტნეული; 9. ნახევარკუნძული აზიაში; 11. ქალის სახელი; 12. ლითონის ცეცხლგამძლე კარადა; 13. ღვინის ობი; 14. ტურგენევის მოთხრობა; 17. თევზის სახეობა; 18. ხეობა საქართველოში; 19. იტალიელი მხატვარი; 20. ყვავილების კონა; 22. სოფელი კახეთში; 29. ჩანჩქერი აფრიკაში; 31. გასული საუკუნის ქართველი მწერალი; 32. ერთ-ერთი თანავარსკვლავედი; 33. ერთი წლის ბატკანი; 34. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალი; 35. საქართველოს კუთხე; 36. უმცროსი მატროსი; 37. მიმდინარეობა ფილოსოფიაში; 42. ძვირფასი ქვა; 43. ავტორბოლა, ანუ?

თამილა ერიაშვილი,
სიღნაღის რ-ნის სოფ. ვაქირის საშუალო სკოლა, VI კლასი.



### ამოცანა

გუცა აძოვებს მინდვრად
სოფლის ხბორებს და
თიკნებს,—
რიცხვის გაგება მინდა,
თქვენც მომეხმაროთ იქნებ.
იმ ნორჩი მწყემსის ნახირს
თუ ორნახევარ იმდენს
და თითო ხბოს და თიკანს
დავუმატებდით კიდევ,
რაოდენობა მათი
ასს მიაღწევდა მაშინ.
ვინც ყოჩაღია, ალბათ,
იანგარიშებს წამში.

შ. ამირანაშვილი.

### პასუხი

№ 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

**შვეულად**: 1. ლენინგრადი; 2. ის; 3. იმპრესარიო; 4. აკვამარინი; 5. ორჯონიკიძე; 6. ია; 7. ეს; 8. ცა; 9. იქთიოზავრი; 10. საქართველო; 11. ოჰ; 12. კარდიოლოგი; 13. ინსპექტორი; 15. აგური; 17. აისი; 18. ჯაზი.

**თარაზულად**: 1. ლენინი. 3. „ისკრა"; 5. ონისე; 8. ცელი; 10. სოლო; 12. კიური; 14. იარა; 16. რეგატა; 19. იპრიტი; 20. ოზონი; 21. ერგი; 22. იურთი.

### ავტომანქანა კიბეზე

ავტომობილი უძრავად დარჩება, რადგან საკუთარი წონის გარდა მასზე არავითარი ძალა არ მოქმედებს, ამ ერთადერთ ძალას კი ვერტიკალური მიმართულება აქვს, ე. ი. ის ძალა კიბის საფეხურების პერპენდიკულარულია.

### შარადა

ჩურჩხელა.

### გამოცანები

თითისტარი.

სკოლის ზარი.

---

### გამოცანები

რაც არ უნდა სცემო, ურჩობს,
ჰოდა, იცით რა ხდება, —
როგორც უფრო დაბლა
დასცემ, —
უფრო მაღლა ახტება.

გ. შეთეკაური.

თბილი ქვეყნის ფრინველია,
მარდი, საოცარი,

გრძელ ფეხებზე შესკუპულა,
გარბის, როგორც ქარი.

წამოწვება შავი ხარი,
მიყუჩდება მთა და ბარი.

ფრინველია საკვირველი,
სიცოცხლეში ერთხელ მღერის.

როცა რამე დაიწვება,
იგი ცაში აიჭრება.

ერთ ხელს ოთხი თითი აქვს,
თეთრად, თეთრად ქათქათებს.
ლუკმას იღებს, მაგრამ, რა?
თვითონ არ ჭამს, სხვას აჭმევს.

ბ. ლეჟავა.

გაავებული გიტევს,
სწუხ და არიდებ სახეს,
უკან ნაკვალევს წაშლის,
თეთრ საბურველში გაგხვევს.

ნაყოფს ისხამს
შავს და წითელს,
განა ბუჩქი, ხეა,
სადგისივით ეკლები აქვს,
რა იქნება, თეა?

ა. ნამორაძე

ИНДЕКС 76157

653/38




# ყურადღება, ეკრანზე!

# მესამე კომპლექსი

**პირველი ვარჯიში.** განმკლავი, ხელებით ოთხჯერ წრე შემოხაზე, როცა ხელები ქვემოთ გადაჯვარედინდება, მუხლებში ჩაიღუნე და მთელი ტერფით დადექი, როცა ხელები მაღლა აიწევს — ცერებზე შედექი და გაიჭიმე. მკლავები სხეულთან ახლოს გეჭიროს და იდაყვებში არ მოხარო.

**მეორე ვარჯიში.** ჩაბუქნე და წვივებზე ხელები შემოიხვიე. წამოდექი, წელში გაიზნიქე, ხელები მაღლა და უკან გადასწიე, ცალი ფეხი უკან გაიშვირე. შემდეგ მეორე ფეხით გაიმეორე.

**მესამე ვარჯიში.** ჩაბუქნე და მუხლებზე დაეშვი, უკან გადაიხარე და შეეცადე ხელები იატაკს შეახო (ან დააყრდნო).

**მეოთხე ვარჯიში.** სკამზე ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხით შედექი. პირველად თუ გაგიჭირდა, საზურგეს ხელი მოჰკიდე.

**მეხუთე ვარჯიში.** იატაკზე დაჯექი და მიტყუპული ფეხები სკამზე გადაატარე. ჯერ, რომ გაგიადვილდეს, ხელები უკან, იატაკს დააყრდენი, შემდეგ შეგიძლია დოინჯი გაიკეთო, ხელები გაშალო, ან თავსუკან ამოიდო.

**მეექვსე ვარჯიში.** სკამზე თავდაღმა დაწექი, ქუსლები რაიმე მძიმე საგანს (ვთქვათ, ტახტს) ამოსდე. სხეულის ზედა ნაწილი რაც შეიძლება მაღლა ასწიე, დაუშვი, ისევ ასწიე (ზემოთ ცოტა შეყოვნდი).

**მეშვიდე ვარჯიში.** გულაღმა დაწექი. ფეხები მოხარე და წვივებზე ხელები შემოიჭირე. ფეხებს ხელი შეუშვი და ხელფეხი ძირს ჩამოსწიე.

**მერვე ვარჯიში.** ჯოხს ქვემოდან ჩაავლე ხელი და წინ დაიჭირე. მარცხენა ხელი იდაყვში მოხარე და ასე, ჯოხით წრე შემოხაზე. მერე ეს მოძრაობა მარჯვენა იდაყვმოხრილმა გააკეთე. (ვარჯიშის გასართულებლად დახედე ნახატს).

**მეცხრე ვარჯიში.** ცალი ხელით დოინჯი შემოიყარე. მეორე ხელში ჯოხი დაიჭირე, მაქსიმალურად გადახრილმა წრე შემოხაზე.

**მეათე ვარჯიში.** ჯოხი ზურგს უკან დაიკავე. ხელები იდაყვებში მოხარე და რაც შეიძლება მაღლა ასწიე, შემდეგ წინ გადაიხარე (შეეცადე თავი მუხლებს მიადო) და გაშლილი მკლავებიც თან გადაიტანე.

**მეთერთმეტე ვარჯიში.** რაიმე საგანი (ბურთი, სათამაშო...) ჩამოკიდე. სამჯერ დაუძაბავად ახტი, მეოთხეზე მთელი ძალა მოიკრიბე და ჩამოკიდებულ საგანს მისწვდი (ვარჯიშის გართულება: საგანი უფრო მაღლა ჩამოკიდე).

**მეთორმეტე ვარჯიში.** ეს კოორდინაციის გასავითარებელი ვარჯიშია. ნელა გააკეთე, ყოველ მოძრაობას გონება გაადევნე და ტემპს თანდათან უმატე. როცა ამ მოძრაობაში გაიწაფები, მერმე ფეხებიც ააყოლე, გაშალე, მიდგი, გადადგი, მიადგი და ა. შ.

ვარჯიშების სიხშირესა და სუნთქვის რეგულირებას თქვენვე ადევნეთ თვალი.